



29 მაისი, 2017

ორშაბათი, №6 (2208)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაავაზებლად ანდოლაბის შარჟავის მიზნით ჯონაურს აცხადებს



გვ. 15

შემდგარი საიუბილეო საღამო და ააჟაი პანიკა სხვა რაუარსით



რატომ დაინტერესდა საუნივერსიტეტო საზოგადოების (მათ შორის სტუდენტების) მხოლოდ მცირე ნაწილი – დასწრებოდა აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს? უკვე საკმაოდ ბევრი ვიცით აკაკი შანიძის შესახებ თუ, უბრალოდ, დაგვხარა წასვლა ღონისძიებაზე, სადაც ქართველოლოგიის პატრიარქზე ახალ წიგნს და დოკუმენტურ ფილმს წარადგინდნენ – ამის პასუხად, დარწმუნებულნი ვართ, სხვისკენ თითის გაშვების პოლიტიკას აირჩევს უკვლა, ფაქტი კი ერთია – უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის მხოლოდ წინა რიგები იყო შევსებული და წიგნისა და ფილმის პრეზენტაცია შეუძლებელ დარბაზში შედგა. ჩვენ შეგვრცხვა!

გვ. 7

შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა თსუ-ში

„ვეფხისტყაოსანი“ და რუსთაველის ეპოქა



ზაზა აბაშიძე: დღეს პრაქტიკულად იწყება ოფიციალური ნაწილი რუსთაველის წლისა. სად, თუ არა უნივერსიტეტში უნდა გამოგვეფინა ის ხელნაწერები, ის უზარმაზარი სიმღიდრე, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.



შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს მიძღვნილი გამოფენა – „ვეფხისტყაოსანი“ და რუსთაველის ეპოქა, რომელშიც თსუ-ს გიგლიოთაძის, თსუ-ს ემიგრაციის მუზეუმისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული უნიკალური მასალა – „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ხელნაწერები, გამოცემები, ილუსტრაციები იყო წარმოდგენილი. გამოფენას თსუ-ს რექტორი გიორგი შარჟავიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ვიცე-პრემიერი ალექსანდრე ჯაფარიძე და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა აბაშიძე დაესწრნენ.

გვ. 3

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) პერიოდში კულტურის სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებისა თუ პიროვნებების შესახებ მეგობრული შარჟების გამოფენა გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 23 მაისს სახელწოდებით – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურა შარჟებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში“.

თსუ-ში ნოე უორდანიას შვილიშვილის ქრისტინე ფალავა ბულეხის მოგონებების წიგნის – „ერთი უჩვეულო ოჯახი“ – პრეზენტაცია გაიმართა. ქრისტინე ფალავა ბულეხის წიგნში აღწერილია მისი მშობლების, მისი მამისა და დედის ცხოვრება და მათი როლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროში.

დამოუკიდებლობის დღის კვირეული

გვ. 4-5



ტინე ფალავა ბულეხის წიგნში აღწერილია მისი მოგონებები, ასევე ის ამბები, რომელთაც ოჯახში უკვებოდნენ.

„ვისხეხებთ გრიგოლ ლორთქიფანიძეს“ – ამ აქცენტით გახსნეს გრიგოლ ლორთქიფანიძის ხსოვნის საღამო, რომელიც „თსუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკისა“ და გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების ორგანიზებით გაიმართა.

ტიერი ბერიშვილის ორენოვან წიგნში (ქართულ-ფრანგული) – „ქართული სოციალ-დემოკრატია 1880-1953: ძირითადი ორიენტაციები“, რომლის პრეზენტაციაც 25 მაისს თსუ-ში გაიმართა, წარმოდგენილია არა მარტო 1953 წლამდე უკვლავ გაკლენიანი ქართული ორგანიზაციის – სოციალ-დემოკრატიის – საქმიანობა, არამედ ამ ორგანიზაციის აღმოცენებისა და ჩამოშლის შესახებ საწიგნო, მისი სოციალური ბაზა და ის პოლიტიკური რეალობა, რომელმაც განსაზღვრა მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

ნომერში



ლაშა საღინაძე: ბიუჯეტიდან იხარჯებოდა სახსრები, რომელიც შეიძლებოდა – არ დახარჯულიყო გვ. 2

ავტორიზაციის განახლებული პროცედურებისა და სტანდარტების დანერგვის შესახებ გვ. 2

მინისტრის განმარტება კანონში შესატან ცვლილებებზე გვ. 2

ბარბარიზმების წინააღმდეგ მოძრაობას ბათუმის უნივერსიტეტიც შეუერთდა გვ. 11

სტუდ-მუსიკა

გვ. 8-9

რექტორობის პირველი წელი და უნივერსიტეტი დღეს

2018 წლიდან უფასო ფაკულტეტების პროგრამა უქმდება

13 რამ, რაც გიორგის შესახებ უნდა იცოდე

წყალსაცავების სწორად გამოყენება ნაპირდაცვისა და ენერგოეფექტურობის გაზრდისთვის

გვ. 6

ექსპერიმენტისთვის შეირჩა 3 მდინარე: რუწული, რუჭული და ვერე, რომელთა ხელოვნური დაგუბებით მიკროკაშხლები შეიქმნა.

შედეგად შემუშავდა ახალი თეორია მთის წყალსაცავებში მოსილვის პრიზმის წარმოქმნა-განვითარების და მისი გრანულომეტრიის შესახებ.



პროექტის შედეგები 7 საერთაშორისო ფორუმზეა წარდგენილი

ბიუჯეტიდან იხარჯებოდა სახსრები, როგორც შიდა ბიუჯეტი – არ დახარჯულიყო

მთავარი სიახლე

ბაია ბორაძე

სამი თვეა, რაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ახალი მოადგილე ჰყავს. ეს თანამდებობა ჩაიბარა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ლაშა სალინაძემ, რომელმაც 2003-2010 წლებში დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატი, შემდეგ კი მაგისტრატურა მარკეტინგის სპეციალობით; იგი 2008 წლიდან მუშაობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე, ბოლო პერიოდში ამვე დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

რა მიზნები და ხედვები აქვს კანცლერის მოადგილეს ახალ ამბლუაში, თავად ლაშა სალინაძე გვესაუბრება:

– ბატონო ლაშა, ადამიანები, ზოგადად, კარიერა იწყებენ დაბალი საფეხურიდან და თანდათანობით ინაცვლებენ მაღალ საფეხურზე. თქვენ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ბუნებრივია, მკითხველს გაუჩნდება კითხვა – რამ განაპირობა თქვენი თანხმობა თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობაზე გემუშავება?

– ამას თავისი წინაპირობა აქვს: თსუ-ში ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი გავატარე – აქ დავასრულე ბაკალავრიატი და მაგისტრატურაც, ამიტომ არჩევანის პირველი განმარტებული ეს იყო. მეორე ისაა, რომ ძირითადად ვმუშაობდი განათლების სისტემაში და ისევ იმ საქმეს ვაგრძელებ, რასაც უკვე წლებია ვემსახურები და რაშიც კომპეტენცია მაქვს. მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ ის, რომ 8 წელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ვიმუშავე და უკვე ვგრძნობდი, რომ მჭირდებოდა ცვლილება. ამას ხელი შეუწყო ბატონი გიორგი შარვაშიძის ფაქტორმა, რომელთანაც დიდი ხანი ვიმუშავე და ვიცი, რომ მას, როგორც პროფესიონალს, ჩემთვის ბევრი რამის მოცემა შეუძლია.

ჩემი ძირითადი მოვალეობა, პირველ რიგში, არის ის, რომ უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ხელი შევუწყო იმ მიზნების განხორ-

ტსუ-მ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მოიპოვა დავინანსება, დაახლოებით, 180 ათასი ლარის ოდენობით, რითაც გამოაცხადა ბანდარი და გაფორმდა ხელშეკრულება მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს საერთაშორისო აუდიტორულ ჯორჯთაუნის ადმინისტრაციის მხრიდან. ცხადია, ჩვენ გავითვალისწინებთ მათ რეკონსტრუქციას და ვიპოვებთ ამ მიმართულებით.

ცივლებაში, რაც უნივერსიტეტის 2017-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაშია გაწერილი. როგორ შეიძლება ამ გეგმის განხორციელება? ცხადია, ყველაფრის ერთად გაკეთება წარმოუდგენელია, თუმცა უნივერსიტეტის დღევანდელ ადმინისტრაციას აქვს იმის რესურსი, რომ პრობლემებს გაუმკლავდეს და ეტაპობრივად ყველა ის პუნქტი შეასრულოს, რაც დაგეგმილია. ვფიქრობ, რომ ერთი წლის შემდეგ უნივერსიტეტი იქნება ბევრად უფრო კარგი, ვიდრე იყო ერთი წლის უკან.

– კონკრეტულად რა მიმართულებით აპირებთ მუშაობას?

– ბევრი რამაა დაგეგმილი. პირველ რიგში, ჩვენ ყველა ერთად ვზრუნავთ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაშიც ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი პირობაა სათანადო გარემოს შექმნა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოახლოებული ავტორიზაციისთვის განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტანდარტები გამკაცრებულია და მოგვიწევს ბევრი მუშაობა, რომ ეს სტანდარტები დავაკმაყოფილოთ. აქვე დავამატებდი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაძლიერებასაც. ამ კუთხით, დღეისთვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საკმაოდ უსწრებს სხვა უმაღლეს სასწავლებლებს, თუმცა ამით არ კმაყოფილდება და უნივერსიტეტთან



ლაშა სალინაძე

მიერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სრული ინტეგრაცია სასწავლო პროცესთან თავის წვლილს შეიტანს განვითარებაში.

რაც შეეხება ადმინისტრაციის გასაწევ სამუშაოს, აქ ჩემს მოსვლამდე იყო გაწერილი და კარგად ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რათა მისი მუშაობა უფრო მოქნილი და გახსნილი გახდეს, რომ სტუდენტსაც და აკადემიურ პერსონალსაც სწავლისა და სწავლების პროცესი გაუადვილდეს. უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო ამ კუთხით ელექტრონული საქმის წარმოება, რომელმაც უკვე მოიკიდა ფეხი.

საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ შარშან, წლის ბოლოს თსუ-მ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მოიპოვა დაფინანსება, დაახლოებით, 180 ათასი ლარის ოდენობით, რითაც გამოაცხადა ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიასთან ადმინისტრაციული მართვის ოპტიმიზაციის მიზნით. ცხადია, ჩვენ გავითვალისწინებთ მათ რეკონსტრუქციებს და ვიმუშავებთ ამ მიმართულებით.

– თქვენი აზრით, ადმინისტრაციის რომელი სექტორები საჭიროებს ყველაზე მეტად ოპტიმიზაციას?

– ასე კონკრეტულად არ შემიძლია მივუთითო რომელიმე დეპარტამენტზე. გარკვეული პლუს-მინუსები ყველგან არის. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ უნივერსიტეტში წლების განმავლობაში მიმდინარე პროცესების გამო თანამშრომლები მოტივაციის ნაკლებობას განიცდიდნენ. ეტაპობრივად ესეც გვარდება.

პრობლემა იყო ისიც, რომ ბიუჯეტიდან იხარჯებოდა სახსრები, რომელიც შეიძლებოდა – არ დახარჯულიყო. დღეს უკვე შემცირებულია ეს ხარჯები და მომავალი წლისთვის იმდენი ნაშთი აღარ გადაჭყვება ბიუჯეტს, რამდენიც წინა წლებში იყო, რაც, ცხადია, ამ ხარჯებს გაასწორებს. ამისთვის ჩვენ შევამცირეთ მივლინებების და წარმომადგენლობითი ხარჯები ბიუჯეტის დამტკიცებისას, ასევე შემცირებულია სატელეფონო და საწვავის ლიმიტები, რასაც უნივერსიტეტის საქმიანობის შეფერხება არ გამოუწვევია. სამაგიეროდ, დაზოგოვანი თანხებით დაფინანსდა არაერთი სტუდენტური პროექტი.

– ერთი წლის შემდეგ იქნება ავტორიზაცია. რა საქმიანობა მიმდინარეობს – უნივერსიტეტმა ავტორიზაცია შეუფერხებლად რომ მიიღოს?

– ავტორიზაციის მისაღებად საჭიროა შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილება. არსებობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, რომელშიც პუნქტობრივად არის გაწერილი ეს სტანდარტები და ჩვენც ამის მიხედვით ვსაქმიანობთ. კერძოდ, გარკვეული დოკუმენტებია შესაქმნელი, მაგალითად, ფინანსური მართვის, კადრების, ქონების აღწერის მიმართულებით.

მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი აპირებს მიმდინარე წელს განახორციელოს ავტორიზაციის საცდელი პროგრამა. ჩვენ დავინტერესდით ამით და გამოვთქვით სურვილი, ჩავერთოთ ამ პროგრამაში. ვნახოთ, შეგვარჩევნენ თუ არა. ეს იქნება ძალუბის წინასწარი მოსინჯვა და ხელს შეგვიწყობს, რომ მხოლოდ მინიმალური სტანდარტებით კი არა, წარმატებით გავიაროთ ავტორიზაცია. ამისთვის ახლაც მიმდინარეობს გარკვეული ინფრასტრუქტურული ხარჯვების გამოსწორების პროცესი.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– მაგალითად, წელს შეიცვლება X (მალღივი) კორპუსის ფანჯრები, ასევე ბიოლოგიის კორპუსის სახურავი, უკვე გამოცხადებულია ტენდერი და დიწყოება ყველა კორპუსის სველი წერტილების მოწესრიგება, დაგეგმილია ლიფტების შეკეთება (განსაკუთრებით მალღივი კორპუსში), ასევე გამოვაცხადებთ ტენდერს ლისის ტაბაქ მდებარე სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ინვენტარით უზრუნველყოფისთვის, რათა ახალი სასწავლო წლიდან მისი ექსპლოატაცია დაიწყო. ასევე მიმდინარეობს მუშაობა თანხების მოძიებაზე II კორპუსის რეაბილიტაციისთვის.

ავტორიზაციის განახლებული პროცედურებისა და სტანდარტების დანერგვის შესახებ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული პროცედურებისა და სტანდარტების შესახებ ისაუბრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა თამარ სანიკიძემ თსუ-ში 19 მაისს გამართულ რექტორთა საბჭოს მორიგ სხდომაზე, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. სხდომას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯავახიშვილიც ესწრებოდა.

თამარ სანიკიძე შეეხო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

ექსპერტთა კონკურსს, რომელშიც კანდიდატები განახლებული სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების მიხედვით შეირჩნენ. ექსპერტთა კორპუსი შედგება უმაღლესი, პროფესიული, ზოგადი განათლების და აკრედიტაციის კვალიფიციური ექსპერტებისგან, მათ შორის არიან სტუდენტები და დასაქმების ბაზრის ექსპერტები. დაგეგმილია მათი მომზადება და ატესტაცია.

თამარ სანიკიძემ აღნიშნა, რომ ახალი სტანდარტების დანერგვის პროცესში ხელმისაწვდომი გახდება უცხოელი ექსპერტების მიერ შექმნილი სახელმძღვანელო. მასში მოცემული კონკრეტული მაგალითებით დეტალურად იქნება აღწერილი ექსპერტთა საქმიანობის თითოეული ეტაპი, ერთგვაროვანი და თანმიმდევრული შეფასების პრინციპები. ექსპერტთა ჯგუფი მოამზადებს ტერმინების განმარტებებს და სარეკომენდაციო და თვითშეფასების სახელმძღვანელოებსაც, მათ შორის იქნება ENQA-ს პუბლიკაცია ხარისხის შიდა მართვის შესახებ. სახელმძღვანელოების და სხვა მნიშვნელოვანი პაკითების განხილვის მიზნით, პერიოდულად მოეწყობა შეხვედრები უმაღლესი სა-

მინისტრის განმარტება ჯანონში შესახებ ცვლილებებზე



საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა მთავრობის სხდომაზე განათლების ხარისხის განვითარების მიზნით კანონში შესატან ცვლილებებზე ისაუბრა, რაც საერთაშორისო დონეზე გაზრდის როგორც უმაღლესი სასწავლებლების იმიჯს, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციის ხარისხს. ცვლილების თანახმად, შესაძლებელი იქნება უცხოური წამყვანი სააგენტოების მიერ მოხდეს უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების აკრედიტაცია, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებას. აკრედიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, აკრედიტე-

ბული 1150 პროგრამა განმეორებით აკრედიტაციას ეტაპობრივად გაივლის. ცვლილებების მიხედვით, დაწესებულებებს წლის ნებისმიერ დროს ექნებათ შესაძლებლობა დაინიშნონ პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე იხვეწება ავტორიზებული დაწესებულებების გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების პროცედურა. ასევე იცვლება ერთობლივ პროგრამაზე საქართველოს მოქალაქეების ჩარიცხვის წესი. ცვლილებების მიხედვით ნებისმიერი პირისთვის ჩნდება შესაძლებლობა, რომ მოახდინოს ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწევის სწავლის შედეგების აღიარება სხვა კვალიფიკაციის მიხედვით.

ინიცირებული ცვლილებებით, მკაფიოდ განისაზღვრება საქართველოს ტერიტორიაზე არაავტორიზებული დაწესებულებების მიერ უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულაციები. ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი პროგრამების აკრედიტაცია განახორციელონ სახელმწიფო მოქმედ წამყვან ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავტორიზაციის ვადა ერთი წლის ვადით უხანგრძლივდება.

შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეადმი მიძღვნილი გამოფენა თსუ-ში

„ვეფხისტყაოსანი“ და რუსთაველის ეპოქა

1-ლი გვერდიდან

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თსუ-ს ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ უველა საეტაპო მნიშვნელობის მქონე უნიკალური გამოცემა. მათ შორის, პირველი, 1712 წლის ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, ასევე, 1888 წლის „ქართველიშვილისეული“ გამოცემა, რომელიც გაფორმებულია ცნობილი უნგრელი მხატვრის, მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით.

დამთავლიერებელმა ასევე იხილა მსოფლიოს ხალხთა ენებზე თარგმნილი (ფრანგული, გერმანული, სომხური, აზერბაიჯანული, თურქული, უკრაინული, მოლდოვური, სპარსული, არაბული, ჩეჩნური, ლატვიური, ოსური და ა.შ) და ბოლოდროინდელი გამოცემები. მათ შორის აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ კორეული თარგმანი, რომელიც პირველად 2016 წელს ითარგმნა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას კორეის ელჩმა გადასცა საჩუქრად.

თსუ-ს რექტორის გიორგი შერვაშიძის თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ენებზე თარგმნის პროცესი კვლავაც გრძელდება.

„რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 850 წლისთავი არის ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი ჩვენი ერის ისტორიაში. ეს არ არის მხოლოდ ლიტერატურა! „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ფასეულობების სისტემის საფუძველია და, შეიძლება ვთქვათ, რომ მსოფლიო რანგის ნაწარმოებია. ამიტომ მის აღნიშვნას, ლოკალურის გარდა, საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს“, – განაცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა ალექსანდრე ჩუგუაძემ. მისი თქმით, მომავალ წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტუმრობის ერთ-ერთი საფუძველი სწორედ რუსთაველი და მისი უკვდავი პოემა იქნება. „წელს გვაქვს ძალიან ბევრი ღონისძიება დაგეგმილი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ჩვენ კარგი ევროპელები და კარგი ქართველები ვიქნებით მაშინ, თუ ჩვენი ფესვები და ის ფასეულობები, რაზეც აშენდა ქართული სახელმწიფო, გვემხსოვრება და მსგავსი ღონისძიებები კარგია, რათა გავამყაროთ ეს ჩვენი კავშირი“, – განაცხადა ალექსანდრე ჩუგუაძემ.

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა წარმოადგინა უნგრელი მხატვრის, მიხაი ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნისათვის“ შესრულებული ილუსტრაციების ორიგინალები, ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების შექმნაზე გადაღებული ე.წ. „ცოცხალი სურათების“ ორიგინალები („ვეფხისტყაოსნის“ დადგენილი სცენები), რომლებიც მხატვარმა გადაიღო თბილისსა და ქუთაისში და ეს ფოტოები გამოიყენა ილუსტრაციების შესაქმნელად. ფოტოებზე ასახული არიან XIX საუკუნის 80-იანი წლების გამორჩეული ქართველი სახეები: გიორგი შერვაშიძე, ბაბო დადიანი და სხვა; „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ხელნაწერების ზუსტი ასლები.



მათ შორის გამოიფინა იმერეთის მეფის, სოლომონ მეორესეული ე.წ. „წერეთლისეული“ ხელნაწერი, ქართლის მეფის, გიორგი XI-ის მიერ დაკვეთილი ე.წ. „ბეგთაბეგისეული“ ნუსხა, ლევან II დადიანის დაკვეთით მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი უნიკალური ხელნაწერი და სხვ.


„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების გვერდით წარმოდგენილი იყო თამარ მეფის პირადი დაკვეთით რომანას ქართულ მონასტერში (კონსტანტინოპოლი) გადაწერილი ხელნაწერი – „ვანის სახარება“, რომელიც თამარის კუთვნილება გახლდათ.

„დღეს პრაქტიკულად იწყება ოფიციალური ნაწილი რუსთაველის წლისა. სად, თუ არა უნივერსიტეტში უნდა გამოგვეფინა ის ხელნაწერები, ის უზარმაზარი სიმდიდრე, რომლებიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწორედ უნივერსიტეტის შენობაში იყო განთავსებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, რომელშიც თავის დროზე თავი მოიყარა ყველა ამ ხელნაწერმა“, – აღნიშნა საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ.

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანების პრეზენტაცია

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანების პრეზენტაცია თსუ-ს ბიბლიოთეკაში 2 მაისს გაიმართა. რექტორის მოადგილემ მიხეილ ჩხეიკელმა „ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე თარგმნის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა: „სხვადასხვა ერებს საშუალება აქვთ მშობლიურ ენაზე გაეცნონ ქართული ლიტერატურის მთავარ ძეგლს, ჩასწვდნენ მის შინაარსსა და სიბრძნეს“.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩეჩნური გამოცემა წარადგინა საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელმა და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მრჩეველმა მექა



ხანგოშვილმა. მისი თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ ჩეჩნურ ენაზე 1969 წელს თარგმნა ნურდინ მუხაევი. იმდროინდელი გამოცემა თითქმის არ მოიპოვება საქართველოში. ამიტომ ეს თარგმანი ხელახლა გამოიცა.

„მიუხედავად ტექსტის სირთულისა, არაჩვეულებრივი თარგმანია, ძალიან ახლოსაა ორიგინალთან. მნიშვნელოვანია, რომ ეს სწორედ კადროვის პერიოდის ჩეჩნეთში მოხდა, რაც ადასტურებს ქართულ-ვაინახური ურთიერთობების სიძლიერეს. წიგნის პრეზენტაცია საქმოდ მასშტაბური გახლდათ როგორც ჩეჩნეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ასევე საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში“, – განაცხადა მექა ხანგოშვილმა.

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი, ლინ კოფისეული ინგლისური პოეტური თარგმანი წარადგინა გამომცემლობა „პოეზიის“ დირექტორმა ნატო ალხაზიშვილმა. მისი განცხადებით, „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობა მთარგმნელმა, პოეტმა და მწერალმა ლინ კოფინმა 2012 წელს დაიწყო, ხოლო პვეკარედები პროფესორმა დოდონა კიხიშიამ მოამზადა. თარგმანის ტექსტს საფუძველად უდევს 1966 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული და პროფესორ ნოდარ ნათაძის მიერ კომენტირებული გამოცემა. პროფესორმა ნათაძემ თარგმანის პირველად ვარიანტში შენიშვნები შეიტანა, ხოლო პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა ამ გამოცემის ბოლოსიტყვაობა დაწერა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი პოეტური თარგმანია, რომელიც შესრულებულია 16-მარცვლიანი შიირით.

ინგლისურ ენაზე აქამდე არსებული თარგმანები, მათ შორის, მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი, პროზაში იყო შესრულებული. ეს თარგმანი საშუალებას მისცემს უნგლისურენოვან მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ სილამაზეც და სიბრძნეც შეიგრძნოს“, – აღნიშნა ნატო ალხაზიშვილმა.


დღეისათვის ვეფხისტყაოსანი მრავალ ენაზეა გადათარგმნილი. ზოგიერთ ენაზე თარგმნილია ნაწილობრივ, უმრავლესობაზე – სრულად. ზოგიერთზე კი – როგორც პროზაული, გაურთმავი ნაწარმოები.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორია იწყება XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც 1802 წელს ეგვენი ბოლხოვიტინოვმა გამოაქვეყნა პოემის პირველი სტროფის სიტყვასიტყვით ნათარგმნი რუსული ვერსია.

1912 წელს გამოიცა მარჯორი უორდროპის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურენოვანი პროზაული თარგმანი, რომელიც, მკვლევართა შეფასებით, შინაარსობრივად, დედანთან სიახლოვის მხრივ, ერთ-ერთი საუკეთესოა. პოემა ინგლისურად თარგმნა ვენერა ურუშაძემ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ევროპაში „ვეფხისტყაოსანი“ ასევე ნათარგმნია უნგრულად, რუმინულად (ორჯერ: ერთხელ პროზაულად, მეორედ კი ლექსად), მოლდავურად, პოლონურად, ჩეხურად და ესპანურად.

აზიური ენებიდან „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა დროს ითარგმნა ჩინურ, იაპონურ, მონღოლურ, ებრაულ, ქურთულ ენებზე. პოემის ნაწყვეტები ნათარგმნია ასევე სპარსულად.





26 მაისი



დამოუკიდებლობის დღის ხვირული

გაზარეული ხელტურა

შარტინა ბაროშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) პერიოდში კულტურის სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენისათვის პიროვნებების შესახებ მეგობრული შარტების გამოფენა გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 23 მაისს სახელწოდებით – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურა შარტებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში“. შარტები ცნობილი ქართველი მხატვრების მიერაა შესრულებული. ასევე გამოიფინა ჩანახატების ფოტო-ასლები. მასალები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებიდანაა მოძიებული.

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურა გაიპარაშვილის ინფორმაციით, სწორედ ამ გამოფენით დაიწყო საიუბილეო კვირული, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 99-ე წლისთავს ეძღვნება. „დღევანდელ ექსპოზიციაზე ჩვენ წარმოვადგინეთ ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტი 1918-1921 წლების კულტურისა, რომელიც თვალნათლივ ასახავს, თუ რა საოცარი თავისუფლება სუფევდა იმ სამი წლის განმავლობაში ქვეყანაში და რა შემოქმედებითი ურთიერთობა უფიქრობდა დამყარებული“.

თსუ-ს ბიბლიოთეკის თანამშრომლის, ხელოვნებათმცოდნე სალომე ჭანტურიძის



თქმით, გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები იმითაც არის მნიშვნელოვანი და საინტერესო, რომ ნახატები, ძირითადად, იმდროინდელი ქართული პრესიდან არის ამოღებული და ამიტომაც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უცნობია.

„მომავალ წელს უნივერსიტეტი 100 წლის იუბილეს იხეილებს. ამავ დროს აღინიშნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს, ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში მრავალი საინტერესო პროექტის განხორციელება იგეგმება. ჩვენ აქედანვე ვეზადებით ამ მნიშვნელოვანი თარიღის ღირსეულად შესახვედრად. ბიბლიოთეკის არქივში მრავალი საინტერესო მასალა დაცული და პერიოდულად გავაცნობთ მას საზოგადოებას. დღევანდელ გამოფენაზე წარმოდგენილი უნიკალური მასალა ამოღებულია იმდროინდელი პრესიდან: „თეატრი და ცხოვრება“, „შშმპის მათრახი“ და სხვა. ნახატების პარალელურად გამოფენაზე წარ-

მოდგენილია ლექსები, ჩანაწერები, რომლებიც ამ პერიოდში იქმნებოდა. ექსპოზიციაზე გამოფენილია მიხეილ ჭიაურელის, შალვა ჭიჭიძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, მოსე თოიძის ჩანახატები და შარტები; ასევე, პოლო იაშვილის ჩანახატები... ისინი, უმეტეს შემთხვევაში, თან ახლავს ლექსებს, რომელთა შესახებაც ასევე ნაკლები ინფორმაცია აქვს საზოგადოებას. აღსანიშნავია, რომ ჩვენს არქივში ინახება პოლიტიკოსთა კარიკატურებიც. ამ გამოფენით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ 1918-1921 წლებში საქართველო მართლაც დემოკრატიული ქვეყანა იყო, სადაც ადამიანის უფლებებს იცავდნენ, პატივს სცემდნენ განსხვავებულ აზრს და რომ ხელოვანს მართლაც ჭჭონდა შემოქმედებითი თავისუფლება“, – აღნიშნა სალომე ჭანტურიძემ.

გამოფენის შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა მხატვრმა-კარიკატურისტმა ზალიკო სულაკაურმაც. „გამოფენაზე წარმოდგენილი თითქმის ყვე-



აკაკი ფალავა. ქართველი მხატვრები დემოკრატიული საქართველოს, ქრისტემა! ვეღარ გაიგეს, არ იქნა, ჩემი შეთადი, სისტემა! თითო ზიესს უნდება ორმოცი რეპუტიცა, წარმოდგენაზე გამოვლენ, ვინ სდ დგას ღარ იცან!

ლა ნამუშევარი ნამდვილი შედეგია. ეს შარტები ისეთი დიდი მხატვრების დახატულია, რომლებიც ყველა ჟანრში დიდ წარმატებას აღწევდნენ. ამ ნახატებით მათ იმდროინდელი საქართველოს რეალობა ასახეს – კარიკატურა ამის საუკეთესო საშუალებაა“, – განაცხადა ზალიკო სულაკაურმა.

ნოე ჟორდანიას შვილიშვილის მოგონებები წიგნად

ნაბო ობოლაძე

თსუ-ში ნოე ჟორდანიას შვილიშვილის ქრისტინე ფალავა ბუღუზის მოგონებების წიგნის – „ერთი უჩვეულო ოჯახი“ – პრეზენტაცია გაიმართა. ქრისტინე ფალავა ბუღუზი საფრანგეთში დაიბადა და არაერთი მნიშვნელოვანი მოგონება შემორჩა ქართული დიასპორის ცხოვრების შესახებ – „ხალხი მას პრეზიდენტს ეძახის, მე კი – ბაბუას. ვიხრდები ცეკვით, პოლიტიკითა და, რაც პირადად მე მეხება, თამაშებით გარემოცულ საქართველოში და თანდათან ვხვდები, რომ ბაბუა თავისი დროის მნიშვნელოვანი ნაწილს საქართველოს დამოუკიდებლობის ლეგიტიმური უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლაში ხარჯავს. საუბარია იმ უფლებებზე, რომელსაც საბჭოთა რუსეთი, დამპყრობელი შეიარაღებული ხელისუფლება ფეხქვეშ თელავს. ყველაფერს ვერ ვხვდები, მაგრამ მთავარი აზრი მესმის... საფრანგეთში საქართველოს თავისუფლების დაბრუნების მოლოდინში ვცხოვრობთ. აი, მაშინ დავბრუნდებით! ხოლო მანამდე დიდი საქმეა გასაკეთებელი და ბაბუამ თავი უნდა გადადოს ამ უზარმაზარი მისიის შესასრულებლად“, – იხსენებს ნოე ჟორდანიას შვილიშვილი.

ქრისტინე ფალავა ბუღუზის წიგნში შესულია მისი მოგონებები, ასევე ის ამბები, რომელთაც



ქრისტინე ფალავა ბუღუზი



ოჯახში უყვებოდნენ. იხსენებს ბებია – ნინა ივანოვნას, მამას – ლევან ფალავას, რომელიც 17 წლის იყო, როდესაც ჭიათურის აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა და შემდეგ გაემგზავრა საფრანგეთში.

„წიგნს ჰქვია „უჩვეულო ოჯახის ისტორია“, რადგან მამაჩემი არაჩვეულებრივად მეტყველებდა და წერდა გაზეთში, დედა პოეტი გახლდათ, ჩემი და ცნობილი მოცეკვავე იყო, ამიტომაც ხანდახან ვფიქრობდი – რას ვაკეთებ მე ამ მშვენიერ ოჯახში. წიგნზე მუშაობა სასიამოვნო იყო, მოგონებებს ახალი მოგონებები მოჰყვებოდა, თუმცა ამავე დროს მტკივნეულიც, რადგან დღეს არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის. წიგნში ერთ-ერთი ნაწილი ქრონოლოგიას დევნებდა. დღეს ბევრი მუშაობს საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიაზე და მინდა,

რომ ხალხმა იცოდეს – რაოდენ მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს მათ ემიგრაციაში. ფორმულირება – პირველი მენშევიკური მთავრობა საფრანგეთში გაიქცა – არასწორია. მაშინ პარლამენტმა კაპიტულაციაზე ხელი არ მოაწერა, იურიდიული თვალსაზრისით ყველაფერი გააკეთეს, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, უფლებები შეენარჩუნებინათ, რამაც უკვე 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ბევრად გაამარტივა“, – აღნიშნა წიგნის ავტორი უჩვეულო ოჯახი პრეზენტაციაზე ქრისტინე ფალავა ბუღუზიმ.

ქრისტინე ფალავა ბუღუზის მოგონებები გამოცემილია „არტანუჯმა“ გამოსცა, რომლის მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საისტორიო წყაროების გამოცემაა.

ქრისტინე ფალავა ბუღუზი ცხოვრობს პარიზში. მან ფრანგულ ენაზე თარგმანა ნოე ჟორდანიას მემორუალი წიგნი „ჩემი ნაწილი“ და პოლიტიკური ნაშრომები – „რა მოხდა“, „დამოკარბია“, „ნამდვილი და ყალბი კომუნისტი“; არის ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი. მისი აქტიური მონაწილეობით ინსტიტუტმა 2014 წელს თბილისსა და პარიზში მოაწყო კონფერენციები თემაზე – „1924 წლის ეროვნული აჯანყება“. ქრისტინე ფალავა ბუღუზი 1998-2010 წლებში იყო ლევილის გამოსცის მმართველი.

„საისტორიო წყაროებს შორის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულება მოგონებებია, მემორუალები. ქართველებს ხშირად არ უყვართ მოგონებების დაწერა გარკვეული სუბიექტური მოსაზრებების გამო. ვფიქრობთ, რომ ყველას, ვინც ძვირფას ინფორმაციას ატარებს, უნდა ვთხოვოთ, რომ მოიცალონ ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის. ჩვენ მადლობელი ვართ ქალბატონი ქრისტინის, რომელმაც დაწერა არაჩვეულებრივი მოგონებები. იგი, ერთი მხრივ, გახლავთ ნოე ჟორდანიას შვილიშვილი და, მეორე მხრივ, პირველი თაობის წარმომადგენელი, რომელიც დაიბადა ემიგრაციაში. აქედან გამომდინარე, ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებასთან დაკავშირებით ძალიან დიდი ინფორმაცია აქვს. მოხარული ვართ, რომ ასეთი საინტერესო წყარო შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში. წიგნი მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველისთვისაც“, – განაცხადა გამოცემილი „არტანუჯის“ დამფუძნებელმა, ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ.

ნოე ჟორდანიას შვილიშვილის მოგონებების წიგნის პრეზენტაციას 2007-2012 წლებში საფრანგეთში საქართველოს ელჩი მამუკა კუდავაც ესწრებოდა, რომელიც ქრისტინე ფალავა ბუღუზს პირადად იცნობდა წიგნის განმავლობაში და მას ქართული დიასპორის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ და პატივსაცემ პიროვნებად ახასიათებს.

„ამ წიგნში ქრისტინე ფალავა ლაპარაკობს ორი ამბის თაობაზე – ჰყვება ოჯახის ამბებს და, ასევე, იმას, თუ რა ხდებოდა ლევილის მამულში, როგორ ინარჩუნებდნენ ქართულ სულს და როგორ ელოლიავებოდნენ თითოეულ ქართულ ამბავს. ქალბატონი ქრისტე ძალიან აქტიური ადამიანი გახლავთ. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ასოციაციას. ლევილში ყოველ წელს იკრიბებოდნენ 24 აგვისტოს აჯანყების წლისთავზე და, ასევე, რა თქმა უნდა, აღნიშნავდნენ 26 მაისსაც. ამ წიგნში ქართული დიასპორის ბევრი მნიშვნელოვანი ჩანაწერია, რომელიც ჩვენთვის ძალიან ფასეულია“, – აღნიშნა მამუკა კუდავამ.

26 მაისი



დამოუკიდებლობის დღის ხვირული

საქართველოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი „მკვლელი“

თამარ ლაღინი

„3 იხსენებთ გრიგოლ ლორთქიფანიძეს“, – ამ აქცენტით გახსნეს 25 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – გრიგოლ ლორთქიფანიძის ხსოვნის საღამო, რომელიც „თსუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკისა“ და გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების ორგანიზებით გაიმართა.



გრიგოლ ლორთქიფანიძე

პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ლორთქიფანიძე დაიბადა 1881 წელს ვანის რაიონის სოფელ ისრეთში. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში (1918-1921 წწ.) მას საქართველოს სამხედრო მინისტრისა და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობები ეკავა. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს მოლაპარაკებას აწარმოებდა რევკომთან. 20-იან წლებში გრიგოლ ლორთქიფანიძე რუსეთში გადაასახლდა და 1937 წელს, მის დაბადების დღეს ბერიას კაზინეტში დახვრიტეს. დიდი მამულიშვილის შესახებ მხოლოდ ეს მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. კიდევ

უფრო ბნელითაა მოცული მისი ცხოვრება საბჭოთა პერიოდში. ღვაწლმოსილ პიროვნებაზე ისაუბრა ემერიტუს პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ, რომელმაც აუდიტორიას გრიგოლ ლორთქიფანიძის მოღვაწეობის შესახებ მოუთხრო: „XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე, დიდი ქართველი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იბრძოდა და მოღვაწეობდა საქართველოს გასათავისუფლებლად, გასაერთიანებლად. მან უდიდესი წვლილი შეიტანა პირველი რეს-

პუბლიკის, ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში. როდესაც წითელი არმიის მიერ თბილისის აღების შემდგომ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ემიგრაციას მიაშურა, გრიგოლ ლორთქიფანიძემ საფრანგეთში მიმავალი გემიდან ჩამოიყვანა ოჯახი, ახლად დაბადებული ბავშვები და განაცხადა: „ახლა არ არის იმის დრო, რომ მე აქედან გავიქცე. უნდა ვიყო იქ, სადაც ჩემს ხალხს უჭირს“. სწორედ მან დაარწმუნა გიორგი მახინაშვილი იმაში, რომ საქირო იყო ბრძოლის გაგრძელება და ოსმლების დამარცხებით მათ ბათუმი და აჭარა შეუნარჩუნეს საქართველოს. გრიგოლ ლორთქიფანიძემ თითქმის მთელი ცხოვრება პატიმრობაში გაატარა, სწორედ მაშინ დაწერა გენიალური წიგნი „ფიქრები საქართველოზე“. საბჭოურ საპურობილში გამოკეტულ გრიგოლ ლორთქიფანიძეს არ ჰქონდა საშუალება ესარგებლა საისტორიო ლიტერატურით, არც წყაროებზე მიუყვებოდა ხელი, მაგრამ თავისი ძირითადი თხზულებისა და სხვა ნაშრომების წერის დროს მაინც ახერხებდა საქართველოს წარსულის, ისტორიული პროცესის აღქმა-შეფასებას და საკუთარ აზრს გამოთქვამდა სამომავლო პერსპექტივებზეც“, – განაცხადა გურამ ლორთქიფანიძემ.

საზოგადოების პრეზიდენტმა პაატა სურგულაძემ საქართველოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი „მკვლელის“ – გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელის უკვდავსაყოფად მისი ძეგლის დადგმის ინიციატივა გააუღერა, რადგან ადამიანს, რომელიც საქართველოს თავისუფლებას შეეწირა, საფლავიც კი არ აქვს. თუ რით იყო ყველაზე გამორჩეული გრიგოლ ლორთქიფანიძე როგორც პიროვნება და როგორც საზოგადო მოღვაწე, ამის შესახებ ისაუბრეს პროფესორმა დიმიტრი შველიძემ, ისტორიკოსმა დოდო ჭუმბურიძემ, თსუ-ის ბიბლიოთეკასთან არსებული პირველი რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელმა ირაკლი ირემიძემ და სხვებმა. გამოსვლებმა აღნიშნეს, რომ მკაცრი რეპრესიების მიუხედავად, გრიგოლ ლორთქიფანიძე ბოლომდე იცავდა თავის პრინციპულ პოზიციას და უარს ამბობდა ბოლშევიკთა წინაშე კაპიტულაციაზე, რომ იგი გაბედულად ამხელდა ქართველ ბოლშევიკთა ანტიეროვნულ სულისკვეთებას. საკუთარმა სიმართლისმძიებლობამ იგი თვით სტალინის მხილებამდე მიიყვანა. მან გაბედა უპრეცედენტო რამ – შენიშვნებით სავსე წერილი გაუგზავნა ბელადს, სადაც სტალინის

პოლიტიკის ისეთი კრიტიკაა, რომელსაც ძეხორციელი ვერ გაბედავდა. ვერ აპატიეს ქვეყნის გულშემატკივარს სტალინისათვის „სილის გაწნა“ და მეორე დღესვე 6-თვიანი პატიმრობა შეუფარდეს და კურსკში გადასახლებულს, სამი წლით იძულებითი ცხოვრება მიუსაჯეს ვორონეჟში. როდესაც ლავრენტი ბერიას შეატყობინეს, რომ ნოე უორდანიანი გრიგოლ ლორთქიფანიძეს საბჭოეთში არსებულ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად მიიჩნევდა, მისი ავტორიტეტით შეშინებულმა ბოლშევიკებმა ჯერ მისი გადმობრუნება სცადეს... მაგრამ რომ არაფერი გაუვიდათ, 1937 წელს დახვრიტეს... დიდი პატრიოტის ძალისხმევა და უდრეკი ნება ქვეყნის გადარჩენის მისეულ ხედვასთან დაკავშირებული პრინციპებისთვის ბრძოლა შეეწირა. სხდომის ბოლოს გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს არსებობს გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება, ფონდი და გამოცემულია მისი წიგნები, დიდი მამულიშვილის ღვაწლი მაინც არ არის სათანადოდ დაფასებული, რომ ახალგაზრდობამ მეტი უნდა იცოდეს ქვეყნის სამაგალითო პატრიოტის მოღვაწეობის შესახებ. ასეთი მამულიშვილები უძეგლოდ არ უნდა იკარგებოდნენ.

ქართული სოციალ-დემოკრატია 1880-1953: ძირითადი ორიენტირები

შურთხია ბაროშვილი

1921 წლის თებერვალს არ დასრულებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოღვაწეობა. ის არც 1921 წლის 18 მარტს მთავრობის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ დასრულებულა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიულად არჩეული მთავრობა 1921-1924 წლებში აქტიური წინააღმდეგობის დაგეგმვასა და განხორციელებას შეუდგა. 1924 წლის აჯანყების ტრაგიკულად დამარცხების შემდეგაც წინააღმდეგობის მოძრაობები, უფრო მცირე მასშტაბით, კვლავ არსებობდა, თავად დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კი გასაბჭოებულ საქართველოსთან 1953 წლამდე ფარულ კავშირს არ წყვეტდა და ინფორმაციასაც ფლობდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე.

ქუსიკაშვილმა. წიგნი გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ. როგორც ტიერი ბერიშვილი იხსენებს, წიგნის გამოცემის იდეა ჯერ კიდევ 2015 წელს დაიბადა, როდესაც თსუ-ში საპატიო სტუმრის და ქართველ ხალხთა მეგობრობისა და კულტურის ფრანგული ასოციაციის ხელმძღვანელის სტატუსით 26 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებას და ემიგრაციის პირველ პროფესიულ ფორუმს დაესწრო. იმავე წელს, თსუ-ს ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, ბიბლიოთეკის ბაზაზე შეიქმნა „პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკა“. „პირველად სწორედ მაშინ დავფიქრე კვლევითი სამუშაოების შესრულებაზე, რომელიც ქართველი ხალხისთვის საკანძო საკითხების შესწავლას მიძღვნილია. ამავე პერიოდში დაინიშნა საარქივო დოკუმენტების თსუ-ს ბიბლიოთეკისთვის გადაცემისა და წიგნის დაწერის იდეაც“, – განაცხადა ტიერი ბერიშვილმა პრეზენტაციაზე.

დემოკრატიული რესპუბლიკის დამსახურება“, – განაცხადა ტიერი ბერიშვილმა. თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის, ზურაბ გაიპარაშვილის თქმით, „ბერიშვილების საგვარეულოს თითქმის „უცნაური“ მისია დააკისრა განგებამ, რომელთა წყალობითაც ჩვენ დღეს ის უნიკალური არქივი მოგვეპოვება, რომელიც თსუ-ს ბიბლიოთეკაში ინახება. ბატონი ტიერი მამია ბერიშვილის შვილია და არანაკლები ღვაწლი მიუძღვის მას ისეთი დიდი საქმის დაგვირგვინებაში, როგორცაა ლევილის მამულის საქართველოსთვის დაბრუნება. სწორედ ტიერი ბერიშვილის დამსახურებით თსუ-ს ბიბლიოთეკაში შეიქმნა ძალიან საინტერესო განყოფილება, „პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი“, რომელსაც საფუძვლად დაედო მამია ბერიშვილის საოჯახო არქივი, რომლის კვლევა-დამუშავება აქტიურად მიმდინარეობს. წიგნი,

რომელიც დღეს მკითხველის წინაშე წარადგინა ავტორმა, დიდი ხნის ნაშრომ-ნაფიქრის შედეგია. ტიერი ბერიშვილი იმ გარემოში გაიზარდა, სადაც სოციალ-დემოკრატიის იდეალები პირველ პლანზე იყო წამოწეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორმა მოახერხა, რომ ობიექტურად გამოეკვლია ამ მოძრაობის ისტორია. წელს უნივერსიტეტის კიდევ ერთხელ გამოხმაურა ამ მნიშვნელოვან მოვლენას, რადგან საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩვენი უნივერსიტეტის ბედი ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელიც თავიდან, როგორც კერძო სასწავლებელი, დაფუძნდა, სახელმწიფო დაწესებულებად სწორედ იმ ხელისუფლების პერიოდში გამოცხადდა და რომ არა მათი მხარდაჭერა, ასეთ დიდ სიმბოლურ დაწესებულებას ვერ მიაღწევდა“, – განაცხადა ზურაბ გაიპარაშვილმა.



ტიერი ბერიშვილი

ახალგაზრდა თაობისთვის მართლაც მნიშვნელოვანია. მათ რაც შეიძლება მეტი უნდა გაიგონ და ისწავლონ საქართველოს რესპუბლიკის სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდზე. ევროპელმა ექსპერტებმაც აღიარეს, რომ ამ წლებში გატარებული რეფორმები, მიღებული კანონები და ის პოლიტიკა, რომელსაც მაშინდელი ხელისუფლება აწარმოებდა, დღევანდელი სტანდარტებითაც კი ძალიან პროგრესული და აქტუალური იყო და იმ ევროპულ ღირებულებებს შეესაბამებოდა, რომლისკენაც სწრაფვას დღესაც ვაგრძელებთ. დღევანდელი წიგნის პრეზენტაცია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ისტორიის უკეთესად შესწავლის თვალსაზრისით“, – განაცხადა გოჩა ჯავახიშვილმა.



წყალსაცავების სწორად გამოყენება ნაპირდაცვისა და ენერგოეფექტურობის გაზრდისთვის

მანია ტოროაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევართა მიერ მოპოვებული გამოყენებითი კვლევების სამეცნიერო განხილვებიდან აპრილში კიდევ ერთი პროექტი დასრულდა წარმატებით. 2015 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა პროექტი: „ნაპირდაცვისა და ჰიდროენერგეტიკის ერთობლივი პრობლემის რეალიზაციის თანამედროვე მეთოდები“ (AR/220/9-120/14). პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ლია მაჭავარიანი. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ: გიორგი მეტრეველი (მეცნიერ-კონსულტანტი), ნოდარ წიგვიანიძე (ოპერაციული), ლამბირა ლალიძე (კლიმატოლოგი), ზაზა გულაშვილი (ჰიდროლოგი), გიორგი ბრეგვაძე (ჰიდროლოგი), დავით სვანაძე (ვის-სპეციალისტი), ნინო პიჭაძე (ასისტენტი).


პროექტი ითვალისწინებდა საქართველოსა და, ზოგადად, ზღვების სანაპიროებზე განთავსებული ქვეყნებისათვის აქტუალური პრობლემის გადაჭრის მეცნიერული გზის მოძიებას. მისი მიზანი იყო ჰიდროენერგეტიკისა და ზღვის სანაპიროს დაცვის ერთობლივი პრობლემის პარამეტრული რეალიზაცია ეკოლოგიური ზარალის გარეშე და ეკონომიკური მოგების თანხლებით.

სპეციალისტებისთვის კარგადაა ცნობილი ის სირთულეები, რაც ჰიდროენერგეტიკული მიზნებისათვის წყალსაცავების კასკადების მშენებლობას ახლავს – წყალსაცავები იხილება მდინარეების ნატივით, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ტიპის ეკოლოგიური (და ეკონომიკური) ზიანის გამოიწვევს. კერძოდ, წყალსაცავების მოსილვის გამო მცირდება მათი ენერგოეფექტიანობა წყლის სასარგებლო მარაგის შემცირების გამო; იზრდება მიმდებარე დასახლებული პუნქტების, გზების, საავარგულების დატბორვის რისკები; მდინარეების ნატივის მწვავე დეფიციტის გამო იმატებს ზღვის სანაპირო ზოლის დეგრადირების რისკი. ეს პრობლემა

განსაკუთრებით მწვავედ დგას აჭარაში. საქმე ისაა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, მდინარე ჭოროხზე მშენებარე 24-წყალსაცავიანი კასკადი ბათუმის სანაპიროს წარეცხვით ემუქრება.

პროექტის ავტორებმა ორი წლის განმავლობაში ინტენსიური კვლევითი საქმიანობის შედეგად შეიმუშავეს „წყალსაცავებში მუდმივმოქმედი კარიერების სქემის შექმნისა და ექსპლუატაციის მეთოდები“, რომელიც ემყარება ნატივის დახარისხებას გრანულომეტრიული შედგენილობის მიხედვით და გადანაწილებას წყალსაცავების გასწვრივ. ამ მეთოდის მეშვეობით, მათი აზრით, შესაძლებელია რამდენიმე უმწვავესი პრობლემის ერთობლივი გადაჭრა: წყალსაცავების პერიოდული განთავისუფლება ინერტული მასალისაგან, რაც მასში წყლის სასარგებლო მოცულობის მატებას გამოიწვევს, ჰიდროენერგეტიკის ეფექტურობის გაზრდას განაპირობებს და დასახლებული პუნქტების კატასტროფული დატბორვისაგან ერთგვარ პრევენციას მოახდენს; წყალსაცავების კარიერიდან ამოღებული სხვადასხვა ფრაქციული შედგენილობის ნატივის კომპლექსური გამოყენება დეგრადირებული სანაპირო პლაჟების შესავსებად უფლაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, რომლის გამოყენება შესაძლებელია ასევე საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის, ნიადაგის განაყოფიერებისათვის და სხვ.

როგორც ჩვენთან საუბარში პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, პროფესორმა ლია მაჭავარიანმა განაცხადა, მკვლევართა ჯგუფმა პრობლემის გადასაჭრელად ორი მიმართულება აირჩია: 1) სავსე კვლევა მოქმედ წყალსაცავებზე; გუმათი (მდ. რიონზე), ჯვარი (მდ. ენგურზე), სიონი (მდ. იორზე), ჟინვალი (მდ. არაგზე) და სხვ.; 2) ნატურული ექსპერიმენტი, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივ ობიექტებზე ხელოვნურად შექმნილი მცირე წყალსაცავების მოსილვის



პრობის დინამიკის სივრცე-დროით მონიტორინგს. „რატომ ავირჩიეთ ნატურული ექსპერიმენტი? საქმე ისაა, რომ დიდ წყალსაცავებზე, სადაც მოსილვის პრობლემა და მისი შლიეფი მკაფიოდაა გამოხატული, ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს, ამიტომ პროექტისთვის გამოყოფილი 2 წელი დაკვირვებისათვის საკმარისი არ იყო. ნატურულ ექსპერიმენტებზე კი მოსილვის პროცესი იმდენად სწრაფად მიმდინარეობდა, რომ დაკვირვება შედეგად იმდენად დასრულდა. ამ ექსპერიმენტებისთვის ავარჯიეთ განსხვავებული რეჟიმის მქონე სამი პატარა მდინარე: რუწყალი, რუჭული და ვერე, რომელთა ხელოვნური დაგვებით მიკროკაშხლები შეიქმნა. უნდა ითქვას, რომ ასეთი ექსპერიმენტი საქართველოში პირველად განხორციელდა. შედეგად, შემუშავდა ახალი თეორია მთის წყალსაცავებში მოსილვის პრობლის წარმოქმნა-განვითარების და მისი გრანულომეტრიის შესახებ“, – განაცხადა ლია მაჭავარიანმა.

პროექტი აპრილის თვეში შემდეგი მაჩვენებლებით დასრულდა: 1) შემუშავდა ჰიდროენერგეტიკის, ნაპირდაცვისა და მოსახლეობის უსაფრთხოების კონფლიქტური ურთიერთობის მინიმიზაციის მეთოდები წყალსაცავში აკუმულირებული ნატივის კარიერული სისტემით უტილიზაციის გზით; 2) გამოყვანილია ახალი ფორმულა, რომლითაც გამოი-

სახება კავშირი ნატივის დიამეტრსა და წონასწორული კალაპოტის (მოსილვის პრობლის) ზედაპირის დახრილობას შორის; 3) შექმნილია საქართველოს სანაპიროს ოკეანოგრაფიული ელემენტების დაკვირვებათა მონაცემების საინფორმაციო ბაზა; 4) გაანგარიშებების საფუძველზე განისაზღვრა ზღვისპირის რეკრეაციული სენსიტიური მონაკვეთებისათვის ნატივის დეფიციტის გასაწესებლად უფლებიერი დოტაციის მოცულობა; 5) შემუშავდა სანაპიროზე ნატივის მიწოდების კონვერსიული მეთოდი („წყალსაცავი-ზღვისპირი-მომხმარებელი“); 6) შედგენილია ელექტრონული რუკების სერია.

გარდა ამისა, შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელიც დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომია. მასში ნათქვამია, რომ წყალსაცავების პროექტირებისას აუცილებელია ინფრასტრუქტურისა და დასახლებული პუნქტების დატბორვის საშიშროების გათვალისწინება; კარიერების სისტემის განლაგება წყალსაცავებისა და მოსილვის პრობლის გასწვრივ; კარიერების ასამუშავებლად შესაბამისი პერიოდის (სეზონის) შერჩევა; წყალსაცავებში ნატივისაგან გამოთავისუფლებული მოცულობის შედეგად წყლის სასარგებლო მარაგის ეფექტური გამოყენება სამეურნეო მიზნებისათვის; ნატივის ფრაქციული შედგენილობის გათვალისწინება ნაპირდაცვის, სამშენებლო ინდუსტრიისა და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ინტერესების შესაბამისად; წყალსაცავებიდან აღებული პლაჟამტები მასალის ტრანსპორტირება დეგრადირებული სანაპიროების შესავსებად და სხვ. (დაწვრილებით იხ. ვებ-გვერდი: <https://msphproject.wordpress.com/>).

პროექტის შედეგები, მოხსენებების სახით, წარდგენილია შვიდ საერთაშორისო ფორუმზე იაპონიაში, აშშ-ში, თურქეთში, შრი-ლანკაში, ნიდერლანდებში, საფრანგეთსა და თბილისში; გამოქვეყნებულია 6 სამეცნიერო პუბლიკაცია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, მათგან 2 – იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში, რომელიც ტომსონის კლასიფიკატორში ინდექსირდება.

პროექტის სადემონსტრაციო დღე (შემამებაელი სემინარი), სადაც საბოლოო შედეგები იქნა წარდგენილი, ჩატარდა ქ. დელფტში (ნიდერლანდები) იუნესკოს წყლის განათლების ინსტიტუტში (UNESCO-IHE, Institute for Water Education) საერთაშორისო სემინარის – „წყლის რესურსების მართვა“ (WRMW2017) – ფარგლებში.



აგვისტოს ომის საქმეზე ძიების დეტალები

ნატო ობოლაძე

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გოჩა ლორთქიფანიძემ და საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსმა ბექა ძამაშვილმა თსუ-ს სტუდენტებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მუშაობისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიების დეტალებზე ინფორმაცია მიაწოდეს. საჯარო ლექცია 8 მაისს გაიმართა და შეხვედრის ფარგლებში განიხილეს: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არსი და განსხვავება სხვა საერთაშორისო სასამართლოებისგან; პროკურორის ოფისის მიერ გამოძიების წარმართვის პრინციპები; 2008 წლის ომის საქმეზე მიმდინარე გამოძიების სავარაუდო ვადები და შედეგები.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში აგვისტოს ომის საქმეზე ძიება 2008 წელს დაიწყო. სასამართლომ პირველი განცხადება 14 აგვისტოს გაავრცელა, სადაც აღნიშნული იყო, რომ აკვირდება მიმდინარე მოვლენებს და ინფორმაციას აგროვებს. საჯარო ლექციაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გოჩა ლორთქიფანიძემ და



საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსმა ბექა ძამაშვილმა აღნიშნეს, რომ ძიების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი უკვე მიღწეულია, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას უკავშირდება. კერძოდ, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო 2008 წლის აგვისტოს ომს განიხილავს, როგორც საერთაშორისო კონფლიქტს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის, ცხინვალის ტერიტორიას კი საქართველოს იურისდიქციის ქვეშ აღიარებს. თუმცა, გამოძიების პროცესში არსებობს სირთულეებიც.

„საქართველოს მხრიდან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართ-

ლოს ინფორმაცია მიეწოდებოდა არამარტო სახელმწიფო უწყებებიდან, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებიდანაც. ჩვენი მხრიდან გამოძიება ორ პრობლემას შეეჯახა – ჩვენს გამოძიებას ხელი არ მიუწვდებოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე და მეორე, საოკუპაციო ხაზთან მაცხოვრებლებს, პოტენციურ მოწვევებს, აქვთ საფრთხის შეგრძნება და ნაკლებად არიან სავარაუდო სტრუქტურებთან თანამშრომლობისთვის განწყობილები. აქედან გამომდინარე, პროკურორი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინა პალატასთან უშუალოდ მიმართა და 2016 წლის იანვარში სასამართლო პალატამ მიიღო გადაწყვეტილება – გამოძიება დაწყებულიყო

საჯარო ლექცია

საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მე-8 და მე-7 მუხლებითაც, რაც ითვალისწინებს იძულებით დეპორტაციას, ძალადობას, ეთნიკურ წმენდას, ომის დანაშაულებებს... გამოძიებისთვის მიცემული ეს მანდატი ფართოა და არ გამოირიცხავს სტატუსით გათვალისწინებულ არც ერთ დანაშაულს“, – განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გოჩა ლორთქიფანიძემ.

რაც შეეხება იმას, თუ რა ძალა აქვს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს განჩინებას და რას უნდა ელოდოს ამ მიმართულებით საქართველო, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ძიების დასრულებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ დედატოპ კონკრეტული პირობისა და არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საქმე პირველი ევროპული საქმეა, რომელსაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო განიხილავს. პროცესი საქმოდ გრძელვადიანია და, სავარაუდოდ, რამდენიმე წელი გაგრძელდება.

საჯარო ლექცია „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და თანამედროვე გამოწვევები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის კონტექსტში“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით გაიმართა.

130

შედეგარი საიუბილეო საღამო და ახალი შანიძე სხვა რაჟურსით

თამარ ჩიხლაძე,
ჟურნალისტი

რატომ დაინტერესდა საუნივერსიტეტო საზოგადოების (მათ შორის სტუდენტობის) მხოლოდ მცირე ნაწილი – დასწრებულმა აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს? უკვე საკმაოდ ბევრი ვიცით აკაკი შანიძის შესახებ თუ, უბრალოდ, დაგვებარა წასვლა ღონისძიებაზე, სადაც ქართველოლოგიის პატრიარქზე ახალ წიგნს და დოკუმენტურ ფილმს წარადგინდნენ – ამის პასუხად, დარწმუნებული ვართ, სხვისკენ თითის გაშვების პოლიტიკას აირჩევს ყველა, ფაქტი კი ერთია – უნივერსიტეტის სააქტიურობის მხოლოდ წინა რიგები იყო შეესაბამებულ და ფილმის პრეზენტაცია შეუესებურ დაარბაზში შედგა. ჩვენ შეგვრცხვა!

არადა გვინდოდა, აკაკი შანიძეზე ახალი რამ გვეთქვა – სიახლის თემის უფლებას კი მისი მართლაც მრავალმხრივი და საინტერესო მოღვაწეობა გვაძლევს... და გვინდოდა, რაც შეიძლება ბევრს სცოდნოდა, განსაკუთრებით სტუდენტებს, ამ სიახლის შესახებ...



აკაკი შანიძე ახალგაზრდობაში

აკაკი შანიძე „უმცირესობის ჭეშმარიტების გადასარჩენად“

აკაკი შანიძე სხვა რაჟურსით – ეს აქცენტი გახლავთ სიახლე, რაც აკაკი შანიძის – „აკაკი შანიძე – ქართული საქმის კაცი“ პრეზენტაცია 17 აპრილს გაიმართა. ახალგაზრდობაში დიდი მეცნიერის პოლიტიკური გემოვნება და ინტერესები იმდენადაა უურადასაღებო, რამდენადაც მასში პროგრესული აზროვნება ჩანს, როგორც ირკვევა, ახალგაზრდა აკაკი შანიძე XIX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური ვნებათაღელვის გავლენასაც განიცდის (შემოქმედებითი ინტერესების სფეროს მიღმა) და უურადასაღებს იქცევს იმ პერიოდის პოლიტიკური მოძღვრებების შეფასებით, რომელიც ჭრელი საზოგადოებრივი სპექტრითა და მრავალპარტიულობით გამოირჩევა. საზოგადოება დააბნეის სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის მქადაგებლებმა და აკაკი შანიძე შეეცადა, თავისი აზრი გამოეთქვა ამ საკითხზე. და, აი, ანარქისტების უყოველდღიურ ორგანიზმში, გახუთ „მუშაში“, 1906 წელს იგი, 19 წლისა, აქვეყნებს წერილს – „რას ვუცადოთ?“ (გახუთი „მუშა“ 1906 წელს გამოდიოდა თბილისში, სულ გამოიცა 52 ნომერი და დაიხურა თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით).

ანარქისტებთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ დაპირისპირებული სოციალ-დემოკრატები, როგორც მენშევიკები, ისე ბოლშევიკები და თვით აკაკი შანიძის გადაწყვეტილება, რომ სტატია დაეგეგმა ანარქისტების გახუთში, უკვე ნიშნავდა იმას, რომ იგი უპირისპირდებოდა სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთას. როგორც ირკვევა, ახალგაზრდა აკაკი შანიძე უფრო მეტად „ბრძენ ფილოსოფოსებს“ ემხრობოდა და ფიქრობდა, რომ ანარქია უტოპია იყო. მის ნაწერში საგულისხმო სხვა რამ უფროა, კერძოდ: იგი უპირისპირდებოდა სოციალ-დემოკრატის იმ მხრივ, რომ, თითქმის, უმრავლესობას ყველაფრის უფლება აქვს, ხოლო უმცირესობა უყოველთვის ცდება. ეს მიანიშნებს აკაკი შანიძის პროგრესულ პოზიციებზე აკაკი შანიძის პროგრესულ პოზიციებზე. „საბრალონო! როგორ ვერ შეგაგნიათ უბრალო ჭეშმარიტება, რომ უმრავლესობა უყოველგან და უყოველთვის ყოფილა და არის უსამართლობისა და ძალმომრეობის განხორციელება, დამყარებული უხეშ ძალაზე? სად გინახავთ, ან გაგიგონიათ, რომ უმრავლესობას სამართლიანობა დაეცვას და რაიმე ახალი მოძღვრება მიეცეს? იცის თუ არა ისტორიამ ისეთი მაგალითი, რომ უმრავლესობა ჭეშმარიტების მხარეზე ყოფილიყო და არ ედევნოს და არ ეწამებინოს მისი (ჭეშმ.) მატარებლები? არა, უმრავლესობა არის, ვიმეორებთ, ჭეშმარიტების მდევნელი ძალა.




და, როგორც ასეთი, არ შეგვიძლია მივაკუთვნოთ მას გადამწყვეტი ხმის უფლება ამგვარ შემთხვევებში. მაგრამ ამ აზრის უფრო ნათლად გარკვევისთვის მივმართოთ ისტორიულ ფაქტებს. ავიღოთ, მაგ., სოკრატე, რომელმაც ჭეშმარიტებისთვის დალია სული სწორეთ იმ უმრავლესობის წყალობით, რომელიც სულს უხუთავდა უყოველ თავისუფალ აზრს ათინაში. ავიღოთ სპარტაკი, თავისუფლების მებრძოლი ძველ რომში, ავიღოთ თუ გინდ თვით ქრისტე, რომლის მოძღვრებაც მიმართული იყო ძალმომრეობის, სახელმწიფოებრივობის, კანონის და სოციალურ უთანასწორობის წინააღმდეგ. ვინ აცვა იგი ჯვარს? თქვენისთანა „მწიგნობრებმა“ და თქვენებრ ფარისევლებმა, იმ უმრავლესობამ, რომელიც ალმაცერათ უყურებდა ნაზარეველის ქადაგებას. არა, ბატონებო, ეგ ძლიერ ვიწრო მასშტაბი გაქვთ საქმის ვითარების გასაზომავათ... ჰმ, დღეს ნიდაგი არ არის ანარქიზმის განსახორციელებლათ! კარგი და პატიოსანი, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ამას ამბობთ და მინც „მეცნიერებათ“ და „მეცნიერულ“ სოციალიზმის იდეოლოგიებით მოგაქვთ თავი. ისეთი მეშინური ადგილი, რომელიც თქვენა გაქვთ გასაზომავათ, და ისეთი ვაჭრული „ჩოთქი“, რომლითაც თქვენ ანგარიშობთ მოგება წაგებას, ესეთი საწყაო რომ ჭონოდათ ყველა ადამიანებს, მაშინ ისტორიას ვერ დაამშვენებდნენ ისეთი პირები, როგორიც არიან გალილიე, ჯორდანო ბრუნო, კოპერნიკი და სხვ., – წერდა ახალგაზრდა აკაკი შანიძე გახუთ „მუშა“-ში. მისი წერილის შესახებ სტატია წიგნისთვის („აკაკი შანიძე – ქართული საქმის კაცი“) მოამზადა გახუთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორმა ნინო კაკულიამ, რომელიც კრებულის შემდგენელი და რედაქტორია. სტატიაში ბოლოს ავტორი წერს: „აკაკი შანიძის წერილის – „რას ვუცადოთ“ გამოქვეყნების შემდეგ საქართველოში მალევე დადგა კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პერიოდი. კომუნისტური იდეოლოგიის მიხედვით, სიმართლე უყოველთვის უმრავლესობის მხარეზე იყო და დამხობილ ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობაზე მუშებისა თუ გლეხების ბატონობა პროგრესულ მოვლენად მიჩნეოდა. აკაკი შანიძე კი 1906 წელს ამტკიცებდა, რომ უმრავლესობა ხშირად ბოროტების წყაროც გამხდარა. ალბათ, ამით იყო განპირობებული, რომ კომუნისტურ სისტემაში გაბატონებულ უმრავლესობასთან აკაკი შანიძე ვერ ითანამშრომლებდა და, შესაძლოა, ამიტომაც მიუძღვნა მან მთელი თავისი სულიერი და ფიზიკური ძალა მეცნიერებას“.

კრებულის წარდგენის შემდეგ ფილმის „აკაკი შანიძე“ (სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ მერაბ კოკოჩავილი) ჩვენება შედგა.

დამსწრე საზოგადოებას თსუ-ს რექტორი მიესალმა და მადლობა გადაუხადა აკაკი შანიძის მშობლიური სოფლიდან, ნოღადან ჩამოსულ სტუმრებს: „დღეს განსაკუთრებული დღეა, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პატივს მივაგებთ აკაკი შანიძის ხსოვნას. ეს არის ადამიანი, რომელმაც შექმნა ის საძირკველი, რომელზეც დგას დღეს ქართული ენათმეცნიერება, ქართული უნივერსიტეტი. აკაკი შანიძე ის მეცნიერია, რომლის ღვაწლის დაფასებაც ქართული სამეცნიერო საზოგადოების მიერ უყოველწლიურად, უყოველ დღე უნდა ხდებოდეს. ჩვენ აღვნიშნეთ აკაკი შანიძის დაბადებიდან 130 წლის იუბილე, გაიხსნა ძალიან საინტერესო კონფერენცია, მოეწყო გამოფენა. მისი ნაღვაწის წარმოსაჩენად ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ვინაიდან თავად აკაკი შანიძის პერსონა გაცილებით დიდია, ამ ადამიანზე ჯერ კიდევ ბევრია სათქმელი. ამიტომ მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ფილმის გადამღებ ჯგუფს, რომლებმაც კიდევ ერთხელ „გააცოცხლეს“ აკაკი შანიძე და კრებულის შემდგენელს, გახუთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ნინო კაკულიას, რომელმაც წიგნში მრავალ საინტერესო პუბლიკაციას მოუყარა თავი. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ დიდი წინაპრები და კარგად უნდა გვახსოვდეს ჩვენი ისტორია, რადგან სხვაგვარად მომავალს ვერ ავაშენებთ“, – განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რამაზ ჭურდაძემ ქართული ენის დაცვისთვის მებრძოლი აკაკი შანიძის წვლილზე ისაუბრა: „აკაკი შანიძის საუკუნოვანი ცხოვრება საგესე იყო მნიშვნელოვანი მოვლენებით – პირველი მსოფლიო ომი, რევოლუცია, სამოქალაქო ომი, საქართველოს გასაბჭოება, 30-იანი წლების რეპრესიები, ტოტალიტარულ სახელმწიფოში ხანგრძლივი ცხოვრება. საგულისხმოა ისიც, რომ 1978 წელს კონსტიტუციის ფორმალური განხილვის დროს მან უარი განაცხადა მიეღოთ კონსტიტუციის ის მუხლი, რომელიც ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას, საფრთხეს უქმნიდა. აკაკი შანიძის ცხოვრება მაღალი ხეობისა და აკადემიურობის მაგალითია. იმედი მაქვს, როდესაც ჩვენი სტუდენტები ამ წიგნს გაეცნობიან, სწორედ ასეთ პიროვნებად დაინახავენ მას“, – განაცხადა რამაზ ჭურდაძემ.

დიდი მეცნიერი და მამა პროფესორმა მუქალა შანიძემაც გაიხსენა: „დღეს ჩვენ საკმაოდ რთულ ეპოქაში ვცხოვრობთ. ერთ-ერთი, რამაც ძალიან იმძლავრა, პრაგმატიზმი – დავიწყება იმ საერთო, საზოგადოებრივი საქმისა, რომელიც ბოლოს და ბოლოს უყოველი ჩვენგანისთვის უნდა იყოს მთელი ცხოვრების წარმართველი. აკაკი შანიძე ამ გადასახედოდან, 130 წლის შემდეგაც, ეკუთვნის იმ მოღვაწეთა პლეადას, რომელმაც უდიდესი საქმე გააკეთა. ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით დაწესებული საქმიანობა, მოგვხსენებათ, უნივერსიტეტის გახსნით დაგვირგვინდა. ეს არ იყო ერთ-ერთი რიგითი დაწესებულების გახსნა. ეს ბრძოლა ძნელი იყო... ჯერ თებერვლის, შემდეგ კი ოქტომბრის რევოლუციამ დალი დაამ-



„აბა, ფხიზლად, ქართველებო!“ – ამ სიტყვებით იწყებდა აკაკი შანიძე თავის დაწერილ ჰიმნს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა ჰორიზონტზეც არ ჩანდა. ქართველებს შეფხიზლება ახლაც ხშირად გვკვირდება, როგორც ჩანს! ამჯერად, გვინდა, სხვისკენ თითის გამშვრებს შევახსენოთ ამ დიდებულნივე მეცნიერის კეთილსინდისიერი მოლოდინი – „ნუ თუ არ უნდა აპირებდეთ უფრო 1600 წ. რომის ქუჩაზე, ცივ თებერვალში კოცინო, რომელზედაც ზვარაკათ შეიწირა ჭეშმარიტებისთვის მებრძოლი ჯორდანე ბრუნო? ნუ თუ ქრისტე უნდა გაჩუქებულიყო, რადგან „ნიდაგი არ იყო მომზადებული“ მისი მოძღვრებისათვის, და არ ეტვირთა მას ის ჯვარი, რომელზედაც ის აცვეს? ნუ თუ სოკრატე არ უნდა მებრძოლებოდა სოფისტების წაქეპ-უკუეკების შკოლას, მხოლოდ იმიტომ, რომ მას მოელოდა საწამლაკით სავსე ფაილის დაცლა? ნუ თუ უნდა გაეკმინდათ ხმა რენესანსის (ალორძინების) ეპოქის დევ-გმირებს და არ მებრძოლებოდნენ საშუალო საუკუნეების კერპებს? არა, და არა! სიმართლისათვის არა სდუმენო, თუ როგორღაცა ნათქვამი და ამიტომ თუ ჩვენ ვართ გულწრფელი ადამიანები და გვრწამს ჩვენი იდეების პრინციპების სისპეტაკე, უყოველთვის და უყოველგვარ პირობებში უნდა ვეცადოთ მათ გავრცელებას და ჭეშმარიტების გამეფებას; უნდა შეუპოვრათ ვიბრძოლოთ მის დასამყარებლათ, რა შედეგიც უნდა მოყვას მას (ან კი რა შედეგი უნდა მოყვას მას გამარჯვების მეტი?)“, – ასე წერდა გამარჯვების მოლოდინით აღსავსე აკაკი შანიძე ახალგაზრდობაში (მოყვანილია ციტატა მისი პუბლიკაციიდან – „რას ვუცადოთ“). სწორედ ამ ახალი რაჟურსით გვჭონდა გადაწყვეტილი დიდი მეცნიერის გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის (ღონისძიებაზე დასასწრებად მოსაწვევები დარიგებული იყო, ინფორმაცია ამ იუბილეს შესახებ კი – მრავალგზის გავრცელებული) და რომელსაც ღონისძიებაზე ველოდით თუ რომელთაგან ნაწილი, როგორც ჩანს, კვლავ შესაფხიზლებელია...

საღამო უნივერსიტეტი

აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეს თსუ-ს რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, თსუ-ს ქართული ენის ინსტიტუტის წარმომადგენლები, აკაკი შანიძის ოჯახის წევრები, სოფელ ნოღას საჯარო სკოლის ხელმძღვანელები და მოსწავლეები, უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორი და სტუდენტი დაესწრნენ.

საღამოზე გახუთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის მიერ მომზადებული კრებულის „აკაკი შანიძე – ქართული საქმის კაცი“ პრეზენტაცია გაიმართა.

სტუდენტ-სტუდენტი



გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

№20

რეპტორობის პირველი წელი და უნივერსიტეტი დღეს

სრის თუ არა უნივერსიტეტში ავტონომია და არსებობს თუ არა უშიშროების მხრიდან ზეწოლა პერსონალზე? რა ცვლილებები განხორციელდა ბოლო დროს და კიდევ რა ცვლილებებს უნდა ველოდეთ სამომავლოდ? – ამ თემებთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ბიორგბი შარვაშიძეს ვესაუბრეთ.



„სელფი“ რექტორთან

– გასულ წელს, როდესაც თქვენ უნივერსიტეტის რექტორი გახდით, უნივერსიტეტში დიდი დაძაბულობა იყო. სტუდენტთა ჯგუფები ერთმანეთს იდეურად უპირისპირდებოდნენ. ასეთ სიტუაციაში ზოგი თვლიდა, რომ უოფილი რექტორი თანამდებობიდან უნდა გადადგარიყო, ზოგიც ამის წინააღმდეგი იყო. რას გვეტყვით იმ პერიოდის შესახებ, რამდენად რთულ ვითარებაში გადაიბარეთ უნივერსიტეტი?

– უოფილი რექტორი ვლადიმერ ბაბავა კვლავ საუბრობს უშიშროების გაგონებაზე, იმაზე, რომ უნივერსიტეტში უოფელთა არსებობა და იარსებებენ მართული ჯგუფები, რომელთაც ვინაც საკუთარი ინტერესებისთვის იყენებს. არსებობდა და არსებობს თუ არა დღეს უშიშროების მხრიდან ზეწოლა უნივერსიტეტის პერსონალზე?

– უნივერსიტეტმა, უდავოდ, რთული პერიოდი გამოიარა, თუმცა, ვფიქრობ, ახლა უფრო დალაგდა სიტუაცია. განათლების ხარისხი, სასწავლო სივრცე, სტუდენტური სერვისები უკეთესი უნდა იყოს, ხოლო ხელმისაწვდომობა კი – ყველა სტუდენტისთვის ერთნაირი. არ უნდა არსებობდნენ პრივილეგირებული ჯგუფები – ეს არის ის საბაზისო პრინციპები, რაზეც ყველა ვთანხმდებით, ოღონდ სხვადასხვაგვარად გამოვხატავთ ჩვენს შეხედულებებს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ დაახლოვდა პოზიციები და რადიკალიზაციის მუხტი მოიხსნა, ამ ეტაპზე, უოფელ შემთხვევაში. ეს არის ძალიან კარგი და მგონია, რომ განსალი პროცესია. პირველი, რაც გაკეთდა, არის ის, რომ კითხვები – ვინ, როგორ, ვის აფინანსებს თუ არ აფინანსებს – მოიხსნა! შეიქმნა კომისია. გასაგებია გახდა, თუ რა პრინციპით ნაწილდება თანხა და ეს ყველაფერი ასახულია ბიუჯეტში. ამას ჰქვია ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა საზოგადოების წინაშე. გამჭვირვალე მექანიზმების არარსებობა უოფელთა იწვევს კითხვის ნიშნებს, უოფელთა დაისმის შეკითხვები და უოფელთა შეიძლება ამ შეკითხვებზე აიგოს რაღაც წარმოდგენა ან სწორი, ან არასწორი.

– ამ ზეწოლას მე ვერ განვიცდი, არ განვიცდი და არც გამოვიდა. არა მხოლოდ არ გამოვიდა, მცდელობაც არ უოფილა არანაირი ზეწოლისა. რაც შეეხება წინა პერიოდს, იყო თუ არა, რა თქმა უნდა, იყო. ეს იყო, ასე ვთქვათ, ე.წ. ოდეერების ინსტიტუტი, რომელიც არსებობდა. ყველამ კარგად ვიცით, როდეს და რატომ ჩამოყალიბდა. ეს იყო ძალიან ცუდი ფორმა. რაც შეეხება დღევანდელ ხელისუფლებას, კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ ვინმემ იცის, სად არის ეს ავადმჯობილი „ოდეერი“, იქნებ გვითხრას. რაც შეეხება მათი არსებობა/არარსებობის თემას, ხელისუფლების პოზიცია ასეთია – სახელმწიფო უმადლეს სასწავლებლებში დღეს არ არსებობს „ოდეერის“ ინსტიტუტი. ეს კანონი მიღებულია შარშან ავგისტოში და დღესაც მოქმედებს. ამის შემდეგ ის გვარები და სახელები, რომლებიც სახელდებოდა, გვაჩვენონ – სად არიან. ასე ზოგადად ლაპარაკი არ შეიძლება. ყველა შევთანხმდით იმაზე, რომ ეს ცუდი იყო. ამიტომ პრაქტიკა, რომელიც იყო მახინჯი და არასწორი, შეიცვალა.

– სტუდენტთა ნაწილი თქვენს რექტორად დანიშნას არც ისე დადებითად შეხვდა. მათი ნაწილი, ისევე როგორც მაშინ, ახლაც საუბრობს იმაზე, რომ თქვენ სახელისუფლო კანდიდატურა ხართ...

– უნივერსიტეტის ავტონომიის დონე დღეს უფრო მაღალია, ვიდრე ადრე იყო, მით უმეტეს, რომ ძალიან დიდი ცვლილებები შევიდა კანონში. შეიცვალა მმართველობითი ორგანოებიც. მაგალითად, აკადემიური საბჭო იყო ძალიან კამერული და პატარა, დღეს არის გაცილებით უფრო დიდი და წარმომადგენლობითი. აქ უკვე შედიან კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლები, მეცნიერები. დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა ოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებიც წარმოადგენენ აკადემიურ საბჭოს. ასევე გაიზარდა წარმომადგენლობითი საბჭოც. ძალიან ბევრს აქვს საშუალება, მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მმართველობაში, თუ აქვს ამის სურვილი და ეს არის მნიშვნელოვანი. სხვა მექანიზმები არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს და მივიღეთ ტრანსპარანტული, გამჭვირვალე მმართველობა. მაგალითად, სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დაამტკიცა უნივერსიტეტმა, მივიღეთ ღია წესით – ყველას შეეძლო საკუთარი აზრის გამოთქმა. ეს იყო კოლექტიურად შექმნილი დოკუმენტი. შეთქმულების თეორიები ბევრს უყვარს, მე ამ უნარის მოყვარული არ ვიყავი. მგონია, რომ ღიაობა ყველაფერში არის უკეთესი. ამდენად, კითხვის ნიშნები მოიხსნება, რადგან პრინციპები იცვლება. დემოკრატია ნიშნავს დემოკრატიულ მმართველობას. ძალიან გვინდა, რომ ჩვენ მივცეთ მაგალითი სხვებსაც, თუ როგორი შეიძლება უნივერსიტეტი, იყოს თანამედროვე უნივერსიტეტი, იყოს და დემოკრატიული მართვად!



თუ ვინმე იცის, სად არის ეს ავადმჯობილი „ოდეერი“, იქნებ გვითხრას. რაც შეეხება მათი არსებობა/არარსებობის თემას, ხელისუფლების პოზიცია ასეთია – სახელმწიფო უმადლეს სასწავლებლებში დღეს არ არსებობს „ოდეერის“ ინსტიტუტი. ეს კანონი მიღებულია შარშან ავგისტოში და დღესაც მოქმედებს.

ცილებული ცვლილება? (გვულისხმობს გრაფას, რომელიც სპეციალურად სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი).

– ერთი ფანჯრის ნაწილია ესეც და ისიც, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პირველი იანვრიდან გადავიდა საქმის ელექტრონულ წარმოებაზე. მესამე და მთავარი არის სტუდენტური ბაზების მოწესრიგება, რასაც დრო სჭირდება და ახლა ამით ვართ დაკავებული.

– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ხორციელდება, ეს არის მოძრაობა „არა ბარბარიზმებს!“, ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

– ცუდია, რომ ბარბარიზმები შემოვიდა ქართულ ენაში, იმ შემთხვევაში, როდესაც ამის არანაირი საჭიროება არ გვაქვს. ამიტომ გამოვიდა ბარბარიზმების ლექსიკონი, რომლის ელ.ვერსიაც არსებობს. ქალბატონი თინა მარგალიტაძე არის ამ მოძრაობის ფუძემდებელი. მასში უამრავი ადამიანია ჩართული: მოსწავლეები, მეცნიერები. ქართულ ენას გაფრთხილება უნდა!

– მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა კვების ობიექტთან მიმართებით. 2 კვების ობიექტი გაიხსნა მაღლივისა და პირველი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, თუმცა იგივე ობიექტები ორი წლის წინ დაიხურა, რადგან ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა არასასურველი შემოსავლის უქონლობის გამო დატოვეს ისინი. როგორ ფიქრობთ, რამდენად გაამართლებს ისინი ახლა?

– ეს არის ის, რასაც ითხოვდნენ სტუდენტები. ადრე კვების ობიექტი უნივერსიტეტში იყო დოქტორი, ახლა გეტყვით, რომ მომგებიანია, მარტო მაღლივიდან დღიური მოგება 1000 ლარს აღემატება. დღეს ფასები არის ძალიან დემოკრატიული და, რაც მთავარია, დასაქმებულები გვყავს პროფესიული პროგრამების სტუდენტები. ასევე დაგეგმილია, ელექტრონული კომერციის დანერგვა, თსუ-ს ონლაინ მაღაზიის ამუშავება, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში თანამედროვე გარემოს შექმნას.

– საკმაოდ რთულია, ერთდროულად შეინარჩუნო ხარისხი და დაბალი ფასები. ამიტომაც თავის დროზე განიხილება ვერსია, რომ თვითონ უნივერსიტეტს გაეკეთებინა საწარმო, რომელიც გარე ფაქტორებზე დამოკიდებული არ იქნებოდა. ვინ დგას რეალურად დღეს კვების ობიექტის უკან?

– ეს არ არის უცხო ხალხი, ეს არ არის ფირმა, რომელიც მოვიდა და მოგებას იღებს. ეს არის უნივერსიტეტი, რომელიც აკეთებს თავის საქმეს და ამაში მოგება რჩება უნივერსიტეტს.

– და ბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც იგეგმება და – 320-ადგილიანი სტუდენტობა, რომელიც ლისის ტბასთან მდებარეობს. მშენებლობა დასრულებულია, თუმცა უნდა გამოცხადდეს ტენდერი ავეჯის შეტანაზე. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

– დარჩენილია გარემოს მოწყობა, ტენდერი გამოცხადდება, რათა ახალი სასწავლო წლისთვის გვემზადებინოთ კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი.

ნინო შუბითიძე,
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

მომზადდა სასწავლო კურსის „ახალი ამბების ჟურნალისტიკის“ ფარგლებში (პედ. დალი ოსეფაშვილი)

თსუ-ს მულტიმედია ცენტრი

2018 წლიდან უფასო ფაქულტატივის პროგრამა უქმდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რეკონსტრუქციის პროგრამის ფარგლებში დაფინანსების წესს შესწავლის ცვლილებებს. გარდა უფასო ფაქულტატივის გაუქმებისა, განხილულია სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღების წესის ცვლილების საკითხიც. როგორც მინისტრმა ალექსანდრე ჯგერელაშვილმა განაცხადა, 28 დეკემბერს თავის ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, 4 წლიანი სასწავლო გრანტი უნდა ჩანაცვლდეს უფასო სასწავლო დაფინანსებით, რომელიც სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე იქნება მიმართული - „ეს იქნება მეტი მოტივაცია სტუდენტებისათვის, აიმაღლონ თავიანთი სწავლის მაჩვენებლები“. სახელმწიფო დაფინანსების ცვლილებისა და უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ ჩვენს კითხვებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ირინე ღარიბაშვილმა უპასუხა:

– გასული წლის 28 დეკემბერს მინისტრმა გააკეთა განცხადება სტუდენტთა დაფინანსების მოდელის ცვლილებასთან დაკავშირებით. საუბარი იყო 4 წლიანი სასწავლო გრანტის გაუქმებასა და მის აკადემიურ მოსწრებაზე მიმართულ უფრო კონკრეტულად, რას ფიქსირებს ეს ცვლილებები და რატომ დადგა დღის წესრიგში ამ საკითხის განხილვა?

– სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა უმაღლესი განათლების არსებული მოდელის ცვლილების, მოდიფიკაციისა და მოდერნიზაციისათვის. საკითხის განხილვა მიმდინარეობს რეკტორთა საბჭოში, რომელიც უკვე სამი წელია მუშაობს მინისტრის ხელმძღვანელობით. ჩვენ ვმსჯელობთ მათთან ერთად და არ ვწყვეტთ საკითხს ერთპიროვნულად. ფაქტია, არსებულმა მოდელმა თავი ამოწურა. იგი სტუდენტებს არ აძლევს მოტივაციას – კარგად ისწავლონ და შეინარჩუნონ დაფინანსება, სწორედ ეს გახდა ცვლილებების ინიცირების საფუძველიც. სტუდენტს უნდა ჰქონდეს მეტი მოტივაცია.

– რა პრობლემებს ხედავთ ამ მოდელში? თქვენი აზრით, გამოიწვევს თუ არა ეს მოდელი კორუფციის ზრდას, როცა ეროვნული გამოცდების ამ ფუნქციას ცაკლესული პიროვნებები შეითავსებენ?

– ეს ინიციატივა, ფიქრობ, გახდება იმის მაპროვოცირებელი, რომ სტუდენტები ორიენტირებულნი გახდებიან არა სწავლის ხარისხის, არამედ ნიშნების გაუმჯობესებაზე. საქართველო იყო უაღრესად კორუმპირებული საგანმანათლებლო სისტემის მქონე ქვეყანა, ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა მოგვცა ის, რომ კორუფცია აღმოიფხვრა. თუმცა არსებობს ძალიან დიდი რისკი, რომ ამ ცვლილებით სტუდენტებმა ნიშნები მიიღონ არა ცოდნით, არამედ მაგალითად, თხოვნით, ახლობლების ჩართულობით ან გარკვეული ფინანსური ინტერესებით. 75-ზე მეტს აკრედიტებულ დაწესებულებაში არ არის გარანტია, რომ შეფასება იქნება ობიექტური, ამიტომ ამ მოდელს, სავარაუდოდ, არ დავამტკიცებთ. სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ სტუდენტის რეალურ ცოდნაზე იყოს დამყარებული შემდგომი კარიერა და არა სახელმწიფო გრანტი. თუმცა, ეს ჩემი დეპარტამენტის პოზიციაა და არა სამინისტროს ან მინისტრის.

– ანუ ცვლილება ამ სახით კანონში აღარ შევა?

– არა, ჩვენი დეპარტამენტი ამ ინიციატივას არ იზიარებს. ალტერნატივის სახით განიხილება საბაზო დაფინანსების მოდელის დანერგვა. ეს არის მსოფლიო ბანკისა და ევროკომისიის ექსპერტის რეკომენდაცია, რომელსაც ჩემი დეპარტამენტი იზიარებს, ასევე ვიზიარებთ მინისტრის ინიციატივას ე.წ. ყულაბების შემოღებასთან დაკავშირებით, რაც დამატებით დაფინანსების მოპოვების საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს.

– რა ცვლილებებს უნდა ველოდეთ სტუდენტთა დაფინანსების წესში?

– 2018 წლიდან აღარ იარსებებს უფასო სპეციალობების დაფინანსების პროგრამა. მას ჩვენაცვლით უფრო თანამედროვე და განვითარებული მოდელი. სტუდენტები, რომლებიც უკვე სწავლობენ ამ ფაკულტეტებზე, რა თქმა უნდა, დაასრულებენ ბაკ-



ირინე ღარიბაშვილი

ლაგრიატს არსებული დაფინანსების მოდელის მიხედვით.

– უნივერსიტეტების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ე.წ. სტატუსზე დაფუძნებული სტუდენტები, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 36 000-ია. არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, 10 000-მდე სტუდენტმა სტატუსი თანხის გადაუხდელობის გამო დაკარგა. მათი ერთ-ერთი მოთხოვნა იყო გრძელვადიანი დახმარების სესხები ან სწავლის საფასურის გადაგდება.

– ჩვენ გვაქვს გრანტის გაუმჯობესების პროგრამა, 12 სხვადასხვა კატეგორიის სოციალური მხარდაჭერის პროგრამა მოწყვეტილი ჯგუფებისთვის. სახელმწიფო სხვა ვარიანტებს ჯერჯერობით არ განიხილავს, დახმარების სესხები არის უნივერსიტეტის ბანკებთან მოლაპარაკების საგანი. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ჩავერევით ამ საკითხში. სამინისტროს კვლევით, რომელიც ცალსახად უფრო სანდოა, მსგავს სტუდენტთა რაოდენობა 1200-დან 1400-მდე მერყეობს. არასამთავრობო სექტორს არ აქვს იმდენი მექანიზმი, რაც ჩვენს უწყებას. შესაბამისად, მათი მაჩვენებელი არაა შესაბამისი.

– სტუდენტთათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გაცვლითი პროგრამებისა და სტაჟირების სიმცირე, რო-

მელსაც სასწავლო დაწესებულებები მათ სთავაზობენ. როგორია სახელმწიფოს და უშუალოდ თქვენი დეპარტამენტის პოლიტიკა ამ საკითხთან მიმართებით?

– საქართველო ერთ-ერთი ქვეყანაა აქტიური ქვეყანაა გაცვლითი პროგრამების მხრივ, მე-7 ადგილზე ვართ მსოფლიოს 130 ქვეყანას შორის. ეს მსოფლიო მასშტაბის მაჩვენებელია, რითაც ნამდვილად გამოხატავს, რაც შეეხება სტაჟირებას, რასაკვირველია, ყველა პროგრამას იგი ვერ ექნება. დღესდღეობით ეს არის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პრობლემა. მომხრე ვარ, რომ აკრედიტაციის გათვალისწინებული იყოს ამ ბერკეტის გამოყენება და სტუდენტებისთვის მეტი საშუალების მიცემა.

– თქვენ რას მიიჩნევთ უმაღლესი განათლების წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევად და პრობლემად?

– ამ ეტაპზე გამოვყოფ სამ მთავარ პრობლემას: უპირველესი – მცირე ფინანსება. თუმცა წელს პირველად განათლების დაფინანსება გაუტოლდა GDP-ის 2.8 პროცენტს, რაც უპრეცედენტოა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. მთავარია, ამ დაფინანსების გადანაწილება მოხდეს არა მხოლოდ სტუდენტების დაფინანსებისთვის, არამედ ხარისხის გასაუმჯობესებლად;

მეორე პრობლემა ხარისხის ნაკლებობაა. რა თქმა უნდა, ბოლო 12 წლის განმავლობაში აშკარაა პროგრესი. თუმცა ჯერ კიდევ დიდი გზა გასასვლელი;

მესამე კი არის ჩვენი მეცნიერების ხარისხობრივი მაჩვენებელი. დღეისთვის მხოლოდ რამდენიმე უნივერსიტეტი ქმნის საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო პროდუქციას და ვისურვებდი, რომ მათი რაოდენობა გაიზარდოს.

თამუნა ზარანდია,
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

მომზადდა სასწავლო კურსის „ახალი ამბების ჟურნალისტიკის“ ფარგლებში (გედ. დალი ოსეფაშვილი)

თსუ-ს მულტიმედია ცენტრი

13 რამ, რაც გიორგის შესახებ უნდა იცოდე

გიორგი არც ძალიან მაღალია, არც ძალიან დაბალი. ჰგონია, რომ ბეჭეზში მძიმე ბას-გიტარამ მოხარა, მაგრამ, ერთი შეხედვით, ბეჭეზში მოხარის არაფერი ეტყობა. სათვალის ჩარჩოს მიხედვით, ხან კლარკ კენტს (მარველის კომიქსების ერთ-ერთი გმირი, ცნობილი, როგორც „სუპერ-მენი“), ხან კი ჰარი პოტერს ამსგავსებენ, მაგრამ მას არც ერთი უფერს, არც მეორე.

შოტლანდიის მთიანეთში, ისტორიაში ყველაზე ცხელი ტემპერატურა – 27.2 გრადუსი ცელსიუსით რომ დაფიქსირდა, დუშეთში არც ისეთი სიცხე იყო, გიორგის დაბადებისთვის ხელი რომ შეეშალა. ასე მისსაკუთრად გიორგი მეგრელიშვილმა 1995 წლის 30 დეკემბერი.

დედაჩემს გიორგის რომ ვაცნობდე, ვეტყვი, რომ გიორგი არის:

1. ჩემი კურსელი, თსუ-ს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი.
2. ადამიანი, რომელიც სწავლის პარალელურად ორ სხვადასხვა სამსახურში მუშაობს (თუმცა, შემდგომ ამით დამეწყო, რადგან ადამიანებს ეს უფრო ალფრთოვანებას ნიშნავს.)

დედაჩემი კი დაასკვნიდა, რომ გიორგი არის:

1. შრომისმოყვარე, პატიოსანი ბიჭი.
 2. ძალიან მეგობრული და გულდია, რადგან მე დამიმეგობრდა.
- გიორგის ძმა ნოდარი, ადამიანი, ვინც მას ყველაზე კარგად იცნობს, კი იტყვდა, რომ გიორგი არის:

1. ჩემი ძმა გოი, რომლის გარეშეც ცხოვრებას დედა წარმოვიდგენ.
2. ჩემზე ბევრად მშვიდი, გაწონასწორებული, არამწველი, პუნქტუალური ადამიანი, რომელიც მღერის და უამრავ ინსტრუმენტზე უკრავს.

გიორგის ცხოვრება წიგნი რომ იყოს, ალბათ, მხოლოდ ოთხი თავი ექნებოდა, რადგან ფიქრობს, რომ მისი ცხოვრების თავგადასავალი, ჯერჯერობით, მეტ მამრავლებად არ დაიშლება:

თავი I – ცნობილია 13 წლისა, ანუ სანამ გიორგი ბენდის ნაწილი გახდებოდა

სწორედ ეს თავი აკავშირებს გიორგის ყველაზე მეტად დუშეთთან, ბენდის და მნიშვნელოვან მოგონებებთან, რომლებიც

მისი ცხოვრების არსებითი ნაწილია. მართალია, დუშეთში დაბადებული და წამოზრდილი მალევე მამის სამშობლოს, ხაშურს დაუბრუნდა, მაგრამ საუკეთესო მოგონებები მაინც ბებია-ბაბუს სახლ-კარს უკავშირდება.

თავი II – ბენდი და სკოლა, ანუ „ვაა, გიორგი, რა საინტერესოა“

გიორგის ოცნება – გამხდარიყო ბენდის წევრი, რეალობად იქცა, როდესაც 13 წლის ასაკში გიტარის ახალმა მასწავლებელმა მას ბენდის შექმნის იდეა გააცნო. გიორგის საყვარელი ინსტრუმენტი გიტარაა, მაგრამ ბენდში დაკვრის სურვილი ინსტრუმენტის სიყვარულზე ძლიერი აღმოჩნდა და მან ბას-გიტარისტიკის როლი მოიკრიფა. სკოლის ერთგვაროვანი ცხოვრება გიორგისთვის სრულიად შეიცვალა. 13 წლის ასაკში მუსიკისთვის ყველაფერი გადადო. ოჯახი გვერდში დაუდგა და მაქსიმალურად ცდილობდა მისთვის ხელის შეწყობას. ფიქრობს, რომ ყოველდღიურად 6-7 საათიანმა რეპეტიციებმა და დაუღალავმა შრომამ ბენდი რამ ასწავლა და უზომოდ დიდი გამოცდილებაც მისცა. ხაშურში საკუთარი სახსრებით ხშირად აწუბუნდებენ კონცერტებს, ხოლო თბილისს სხვადასხვა ფესტივალის ფარგლებში სტუმრობდნენ. ერთ-ერთ ასეთ „გასტროლზე“ მყოფმა მოინახულა პირველად თსუ-ს VIII კორპუსი, მაშინ ჯერ კიდევ 14 წლის იყო და არ ფიქრობდა, რომ ხუთი წლის შემდეგ ეს კედლები მისი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდებოდა.

თავი III – სტუდენტობა, ანუ გიორგი ჩამოვლის თბილისსა შინა

ხაშურის სკოლის ყველაზე განსხვავებული ცხოვრების მქონე გიორგისთვისაც დადგა ის დრო, სკოლის დამთავრების შემდგომ ცხოვრებაზე რომ უნდა ეფიქრა. აბიტურიენტობისას სწავლა მისთვის ყველაზე პრიორიტეტული აღმოჩნდა, ამიტომ ბენდის დატოვებაც მოუწია. ბავშვობაში მხახიობა ან უპრინციპობა უნდოდა, მაგრამ, საბოლოოდ, სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენის გამო იურიდიულ ფაკულტეტზე გადაწყვიტა ჩაბარება. თუმცა, ბენდი მას ჰქვია, რომ კარზე მოგადგეს უპრობლემალო – გამოცდების ეროვნული ცენტრის გვერდზე ცვლილებების შეტანის ბოლო დღეს გიორ-



გიმ სიაში რიგით მეხუთე უპრინციპობა და 50%-იანი გრანტით ჩაირიცხა. თბილისში ჩამოსული სულ სხვადასხვა ცხოვრების სტილს შეეჭიდა. ფიქრობს, რომ გაუმართლა, რადგან მისი უფროსი ძმა სასწავლებლად მასზე ორი წლით ადრე ჩამოვიდა და მას ხშირად სტუმრობდა. გიორგისთვის ყველაზე რთული ხალხთან შეგება აღმოჩნდა, მაგრამ უნივერსიტეტმა და უპრინციპობის მცირე-რიცხოვანმა ჯგუფმა ძალიან შეუწყო ქალაქთან მის ე.წ. ადაპტაციის პროცესს.

თავი IV – გიორგი დიდ გამოწვევას აწყობდა, ანუ „ვაფხული მოვინ, დროა გეშაობა დაპინდო“

მართალია, გიორგი მესამე კურსზეა და ჯერ სტუდენტობის თავი არ ჩაუშთავრება, მაგრამ მუშაობის დაწყების უკვე მისთვის მაინც განუქმებელია, რადგან სამსახურის წყალობით ცხოვრების ბევრ ასპექტს სხვა-ნაირად შეხედა. თავდაპირველად გასართობ ცენტრში ანიმატორად დაიწყო მუშაობა. სტაბილური შემოსავლის არქონის გამო ახალი სამსახურის პოვნა გადაწყვიტა და ახლა hard Rock Café-ში მუშაობს, თუმცა არც ის არის გამოირიცხული, თქვენი შვილის დაბადების დღეზე „ადამიანი-ობობას“ ნიღბის ქვეშ გიორგი იმალეობდეს, რომელსაც მეორე სამსახურში, ან ლექციაზე აგვიანდება.

იდეალური პროფესია გიორგისთვის მუსიკოსობაა. ეს იდეალი მისთვის უკვე შორეული ოცნებაა, რადგან საქართველოში მუსიკოსის პროფესია, ფაქტობრივად, არ არსებობს. აშუამდინდელი რეალობიდან გა-

ჩანართი მომზადებულია სტუდენტების კავშირის წევრი სტუდენტების მიერ



შემდგარი საიუბილეო საღამო და ახალი შანიძე სხვა რაზმით

მე-7 გვერდიდან

ჩნია უნივერსიტეტისა და მეცნიერების განვითარებასაც. დამაარსებლებს იმდენი ბრძოლისა და შურაცხულის გადატანა მოუხდათ ამ გზაზე, რომ არა ასეთი თავდადება, ამას ნამდვილად ვერ გაუძლებდნენ. შემძლია ვთქვა, რომ ის, ვინც ამ საქმის ერთგული დარჩა ბოლომდე, აკაკი შანიძეც გახლდათ. დღეს არ ვისაუბრებ აკაკი შანიძის მეცნიერულ მოღვაწეობაზე. ქართველოლოგიის არც ერთი დარგი არ დარჩენილა, აკაკი შანიძის დიდი და ფუნდამენტური ნაშრომები რომ არ მიეძღვნა. მისი ბიბლიოგრაფია 700-მდე



ნაშრომს მოიცავს. ხანდახან მიკვირს, არა როგორც ვიღაც, არამედ როგორც ადამიანს, როგორ შეძლო ამდენი. ასეთი ადამიანების საქმიანობა უნდა დარჩეს საზოგადოებისთვის მაგალითად. ამიტომ ძალიან დასაფასებლად მიმაჩნია, რომ 130 წლის თავზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კვლავ გაიხსენა აკაკი შანიძე. მის საქმიანობას მიეძღვნა სამეცნიერო სესია, ფილმი, გამოიქვანა წიგნი. მე მონაწილეობას ვიღებდი ამ წიგნის შექმნაში და ვიცი, როგორი დიდი სიუვარულით და ზრუნვით ცდილობდა ნინო კაკულია მასალების შეგროვებას, რაც არც ისე ადვილი საქმე იყო. ჩვენ ერთხელ კიდევ ვიხსენებთ იმ ადამიანს, რომელმაც ჩათვალა, რომ მისი სიცოცხლე და მისი საქმიანობა უნდა მიეძღვნა ერთ დიდ საქმეს – არა მარტო ქართულ ენას, არამედ ქართულ ენას, როგორც ქართველი ერის დედაენას, – განაცხადა მუქალა შანიძემ.

დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა აკაკი შანიძის ფილმმა ლეოა შანიძე და აღნიშნა: „დღეს მხოლოდ იმის თქმა შემძლია, რომ აკაკი შანიძე არა მარტო თავის ოჯახს, არამედ ქართველ ერს ეკუთვნის. მად-

ლობელი ვარ წიგნის და ფილმის შემქმნელების და მთლიანად მთელი უნივერსიტეტის, ვინც გაითავისა ეს საქმე და პატივი მიაგო აკაკი შანიძის ხსოვნას“, – აღნიშნა ლეოა შანიძემ.

აღსანიშნავია, რომ კრებულში აკაკი შანიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის ასპექტებია გაშუქებული და გაანალიზებული. წიგნი იწყება მეცნიერის ბიოგრაფიის ძირითადი შტრიხებით, თარიღებითა და მოვლენებით აღწერილი. კრებულში შესულია თსუ-ს პროფესორების: თამაზ გამყრელიძის, ავთანდილ არაბულის, რამაზ ჭურდაძის, ვახტანგ გურულის, ელგუჯა ხინთიბის, ზურაბ ჭუმბურიძის, დარეჯან თვალთვაძის, თედო უთურგაძის, ასევე ურნალი-სტების: ნინო კაკულიას და მაია ტორაძის სამეცნიერო-პუბლიცისტური წერილები, რომლებიც დიდი მეცნიერის მრავალმხრივ მოღვაწეობას ეხება. აქვეა შვილების: მუქალა შანიძისა და ლეოა შანიძის მოგონებები მამაზე. წიგნის რედაქტორების თქმით, „მომავალი თაობებისთვის ერის ღირსეულ შვილთა სახისა და საქმის შემონახვა მხოლოდ ამ კრებულით არ შემოიფარგლება. თსუ-ს გახეთ „თბილისის

უნივერსიტეტის“ რედაქცია საზოგადოებას პერიოდულად შესთავაზებს ნარკვევთა სერიულ გამოცემებს, რომლებიც უნივერსიტეტის დამაარსებლებს, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებისა და დარგების მესაძირკვლეებს, ღვაწლმოსილ მეცნიერებსა და პროფესორებს მიეძღვნება“.

კრებულის პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა ფილმის ჩვენება, რომელიც მომზადდა პროექტის – „მათ შექმნეს უნივერსიტეტი“ – ფარგლებში. ფილმის სამხატვრო ხელმძღვანელის მერაბ კოკოჩაშვილის თქმით, ურთულესი იყო ფილმის გადაღება ასეთ დიდ მეცნიერზე, საზოგადო მოღვაწეზე და პიროვნებაზე, რომელმაც უზარმაზარი კვალი დააჩნია ქართული ენის განვითარებას. „ჩვენთვის სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის დამაარსებლებზე ფილმის გადაღების იდეა ჩვენს სტუდენტს იზა თითბერიძეს ეკუთვნის, რომელიც ამჟამად წარმატებით აგრძელებს მაგისტრატურაში სწავლას ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში და უკვე მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია“, – აღნიშნა მერაბ კოკოჩაშვილმა.



მუქალა შანიძე

„საკმაოდ რთული გამოდგა ამ პროექტზე მუშაობა, ვინაიდან უამრავი მასალა აკაკი შანიძეზე და ვფიქრობდით – რომელი გზა უნდა აგვეჩრია. საბოლოო ჯამში, როდესაც მასალები შევავსოვეთ, თვითონ ბატონმა აკაკიმ „მოგვცა გეზი“, თუ როგორი ფილმი უნდა გაგვეკეთებინა“, – განაცხადა ფილმის რეჟისორმა ირაკლი სოლომონაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა გადაღებულ გზაზე: რეჟისორსა და ასისტენტს ნინო გელოვანს, მთავარ ოპერატორს იმედა თეთრაძეს, ფილმის მეორე რეჟისორსა და მკვლევარს ზაზა ჯღარკავას და სტუდენტებს.

ქართულ-ამერიკული ურთიერთობების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ჯონფარენცია

თამარ ლალიანი

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შექმნის 230-ე და ქართულ-ამერიკული ურთიერთობების 25 წლისთავს მიეძღვნა ამერიკისმცოდნეობის XVIII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც თსუ-ში 11-13 მაისს გაიმართა.

კონფერენციის გახსნას ესწრებოდნენ: საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე ნიკოლას ბერლინერი, თსუ-ს რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და სტუდენტები.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა 1992 წლის 23 აპრილს დაიწყო. შეერთებული შტატები იყო რიგით მეორე სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და, როგორც პროფესორი ვასილ კაჭარავა ამბობს, ეს თარიღი კარგი საბაზია, შევჯავროთ ქართულ-ამერიკულ დიპლომატიურ ურთიერთობათა 25 წელი და ის პერსპექტივები, რასაც საქართველო-ამერიკის მჭიდრო თანამშრომლობა და პარტნიორობა გვსახავს: „ქართულ-ამერიკული ურთიერთობებში მთავარია ურთიერთობათა სწრაფი ევოლუცია. ის, რომ 25 წლის წინ დაწყებული დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც ჰუმანიტარული მხარდაჭერით დაიწყო, დღეს მჭიდრო სტრატეგიულ პარტნიორობადაა ქცეული. ეს ორივე ქვეყნის კეთილ ნების დამსახურებაა. საქართველოსთვის ამერიკა წარმოადგენს მოკავშირეს და სტრატეგიულ პარტნიორს, რომელიც საქართველოს თავისუფლების, განვითარების და წინსვლის გარანტია“, – განაცხადა ვასილ კაჭარავამ. იგი საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეერთებულ შტატებში ვიზიტსაც შეეხა (8-10 მაისი).

პროფესორმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა ამერიკის როლს



2008 წლის აგვისტოს ომის დროს, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა საომარი მოქმედებების შესაჩერებლად. აშშ-ის მხარდაჭერა ტერიტორიული მთლიანობის აღიარების თვალსაზრისით არის საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პოზიცია. მან ასევე ისაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების 2017 წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მკაცრი და უპრეცედენტო მხარდაჭერაზე, რომელიც უმნიშვნელოვანესი ბერკეტი კონფლიქტების მშვიდობიანად მოწესრიგების თვალსაზრისით. „ამერიკის შეერთებული შტატები ამ აქტივით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ძალიან მკაცრი თანადგომას გამოხატავს. ამერიკის შეერთებული შტატების საბიუჯეტო და ფინანსებით ვერ ისარგებლებს ვერც ერთი ქვეყნის მთავრობა, რომელმაც აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ან მათთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა“, – განაცხადა თსუ-ს ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორმა ვასილ კაჭარავამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებს მოზარდებისა და აქტიურობისთვის.

დიპლომატსა და მწერალს გელა ჩარკვიანს შეერთებულ შტატებთან დიპლომატიური ურთიერთობის პრინციპულ შედეგად მიაჩნია ის, რომ ეს დაფუძნე-

ბულია არა ჩვენს ინტერესებზე, არამედ ღირებულებებზე. მისი თქმით, აშშ არის სუპერსახელმწიფო, რომელიც მოქმედებს არა მხოლოდ ინტერესებით, არამედ პრინციპებით.

„სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით თანამშრომლობა, რაზეც ახლა შესაძლებელია საუბარი, 25 წლის წინ წარმოდგენილ ფუფუნებად მიიჩნეოდა. დამოუკიდებელი საქართველოს ყველა მთავრობა ესწრაფოდა აშშ-სთან მჭიდრო და აქტიურ თანამშრომლობას, დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებას.

დიდ შრომას ვეწოდით, რომ საქართველო შეემჩნიათ და რომ არა საქართველოს ხელმძღვანელობის ეფექტური მოღვაწეობა ამ მიმართულებით, ეს ურთიერთობები ვერ განვითარდებოდა“, – აღნიშნა გელა ჩარკვიანმა მისასალმებელ სიტყვაში.

ამერიკისმცოდნეობის XVIII საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა და ქართველმა გამომსვლელებმა. თსუ-ს ასოცირებული პროფესორის ელენე მექსარიასვილის ინიციატივით, კონფერენციაში ჩართული იყო ამერიკისმცოდნეობის ყველა მიმართულების სპეციალისტი. მოხსენებების თემატიკა მრავალფეროვანი იყო და შეეხებოდა საქართველო-აშშ-ს ურთიერთთანამშრომლობის, ამერიკის ქვეყნების ისტორიის, პოლიტიკის, კულტურის, ფილოსოფიისა და არქიტექტურის საკითხებს.



„მოხარული ვარ, რომ ვმონაწილეობ ყოველწლიური კონფერენციის გახსნაში. ასეთი ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს ჩვენ ქვეყნებს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას, ახალი ურთიერთობების წარმოქმნას. სწორედ ამგვარმა ღონისძიებებმა განაპირობა ამ ბოლო 25 წლის მანძილზე ჩვენი ურთიერთობების ჩამოყალიბება-განმტკიცება“, – განაცხადა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილემ ნიკოლას ბერლინერმა.

საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის მჭიდრო პარტნიორობა და სტრატეგიული თანამშრომლობას წინ უსწრებდა ორი ქვეყნის ხალხს შორის კულტურული, სამრეწველო და სამეცნიერო თანამშრომლობა. მოეწყო ურთიერთობათა ამსახველი ხელნაწერების, პერიოდიკისა და ფოტომასალის გამოფენა, რომელსაც უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმმა უმასპინძლა. მუზეუმის ხელმძღვანელმა რუსუდან კობახიძემ საზოგადოებას შეახსენა 20-იან წლებში საქართველოდან ემიგრირებული პოლიტიკური ელიტის პირველი ნაბიჯები ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც მოგვიანებით კულტურისა და მეცნიერების სფეროს წარმომადგენლები შეუერთდნენ: „პოლიტიკური ემიგრაციიდან ერთ-ერთი პირველი, რომელიც ამერიკაში წავიდა,

გახლდათ დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი გიორგი მაჩაბელი, რომელმაც 1926 წელს დააარსა პარფიუმერული კომპანია „Prince Matchabelli“, რომელიც 1920-1930 წლებში აშშ-ს უმნიშვნელოვანესი კორპორაციების ხუთეულში შედიოდა. გიორგი მაჩაბელმა უზრალო ჰობიდან 10 წელში შექმნა არა მარტო მილიონიანი ბიზნესი, არამედ გახდა ნოვატორიც. როდესაც მაჩაბელმა თავისი ბიზნესი წამოიწყო, ამერიკას საკუთარი საპარფიუმერო მრეწველობა ჯერ არ გააჩნდა. ასე რომ, გიორგი მაჩაბელმა შეავსო ის სიცარიელე, რაც იმ დროს არსებობდა ამერიკულ საპარფიუმერო წარმოებაში.

იმ დროს წარმატებით მოღვაწეობდა მისი თანამემამულე გრიგოლ კობახიძე (ჯორჯ კოხი), რომელმაც ამერიკაში მინის მრეწველობა ააღორძინა. იგი ჯერ სამედიცინო ამპულებს, სინჯარებს და სხვა სამედიცინო ინვენტარს აწარმოებდა, ხოლო ომის შემდეგ საშობაო ნაძვისხის წარმოება დაიწყო, რომელიც ამერიკის გარდა, კანადაშიც იყო დღობა. მანანა კობახიძემ პირველი ქართველი ემიგრანტების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სხვა საინტერესო ფაქტებს გაიხსენა. ამერიკისმცოდნეობის XVIII ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია წარმატებით დასრულდა, რომელიც ორგანიზებული იყო თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის მიერ.



ბარბარიზმების წინააღმდეგ მოძრაობას ბათუმის უნივერსიტეტიც შეუერთდა თინა მარგალიტაძის საჯარო ლექციების გამომხატველი

ნინო ხაუალია,
მანანა ჯარსაძე

მოძრაობამ „არა ბარბარიზმებს!“ საყოველთაო ხასიათი მიიღო. თსუ-ს ლექსიკოგრაფიული ცენტრის წაოწყება ამჟერად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აიტაცა და მოძრაობას შეუერთდა.

10-11 მაისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ს პროფესორმა, ლექსიკოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელმა თინა მარგალიტაძემ სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა, რომელიც ბარბარიზმების წინააღმდეგ მოძრაობას შეეხებოდა. 1) „თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები და უცხო ენისა და მშობლიური ენის სწავლების მეთოდები“; 2) „სიტყვის მნიშვნელობა და მისი კვლევისა და სწავლების მეთოდები“ – ამ აქცენტებით გამართული საჯარო ლექციებით ბათუმის უნივერსიტეტის არაერთი სტუდენტი და პროფესორი დაინტერესდა. თინა მარგალიტაძის მიერ ორიგინალურად ილუსტრირებული და საინტერესოდ წაიკითხული ლექციების შემდეგ შთაბეჭდილებებიც გაგვიზიარეს.

აჭარის ტელევიზიამ უკვე 4 გადაცემა მიუძღვნა ბარბარიზმების თემას

მარინა გიორგაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

– როგორც კი დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ეს მოძრაობა, მაშინვე მიიქცია ჩვენი ყურადღება. სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ვკითხულობდით და ძალიან აქტიურად ვაზიარებდით ფეისბუქ-გვერდზე უველა სტატიას, რომელიც ბარბარიზმებთან ბრძოლას შეეხებოდა. ქართული ენის დღესთან დაკავშირებით 14 აპრილს პირველი აქციაც მოვაწყვეთ – „არა ბარბარიზმებს!“ ვთვლით, რომ ეს მოძრაობა დროული და საჭიროა, რაც მოითხოვს მასში საზოგადოების უფრო ფართოდ ჩართვას. მაგალითად, გამოკრულ აბრეშთან დაკავშირებით პრობლემა ძალიან აქტუალურია ბათუმისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ქალაქი სხვადასხვა ენაზე შესრულებული წარწერებით დამახინჯებულია, ხშირად საერთოდ არ გვხვდება ქართული თარგმანი და უცხო ენაზეც წარწერა ხოგერ არასწორია. სტუდენტები ძალიან აქტიურად იმობრავებენ ქალაქში, ჩაინიშნავენ უხუსტობებს და დამახინჯებულ წარწერებს, შემდეგ გავანალიზებთ ამ მასალას და მივმართავთ მერიასაც, რომელიც, ალბათ, დაინტერესდება.

ამ პრობლემას აუცილებლად სჭირდება ყურადღების მიქცევა და ვითარების გამოსწორება.

აჭარის ტელევიზიამ უკვე 4 გადაცემა მიუძღვნა ბარბარიზმების თემას. ქალბატონი თინას საჯარო ლექციაც წინასწარ გამოვაცხადეთ და ბევრი სტუდენტი ელოდა, როგორ განვითარდებოდა მოძრაობა ბარბარიზმების წინააღმდეგ.

თბილისის უნივერსიტეტი იყო და რჩება ყველა სიახლის წამომხატველი

მამია ფალავა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული ენის სპეციალისტი:

– ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში თბილისის უნივერსიტეტი იყო და რჩება ყველა სიახლის წამომხატველი, ჩვენ კი ყოველთვის მისი მხარდამჭერები ვართ.

ბუნებრივია, ბარბარიზმების აღმოსაფხვრელად მუშაობა ჩვენს უნივერსიტეტშიც მიმდინარეობდა, მაგრამ ამას ისეთი აქტიური ხასიათი არ ჰქონდა, როგორც მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო. როდესაც აქცია – „არა ბარბარიზმებს!“ საზოგადოებრივი მოძრაობის სახე მიიღო, ამ პროცესს, ბუნებრივია, ბათუმის უნივერსიტეტიც დიდი სიამოვნებით გამოეხმაურა. ამ მოძრაობით თავად სტუდენტებიც დაინტერესდნენ. ჩვენი სპეციალობის რამდენიმე სტუდენტი, რომლებიც სადიპლომო ნაშრომზე მუშაობენ ფოლკლორის მიმართულებაში, ქალაქში გამოკრულ აბრებს სწავლობენ – ეს თემა სახალისოც არის და აქტუალურიც.

ხშირად ჩემს სტუდენტებს ვეუბნები, რომ დისერტაციასა თუ რომელიმე ნაშრომში ბევრი უცხოური ტერმინის გამოყენება იმ მოტივით, რომ თითქოს ნაშრომს მაღალი მეცნიერული ღირებულება ჰქონდეს, არასწორია. ასეთი დისერტაცია არ უნდა იმსახურებდეს მაღალ შეფასებას.

მასხენდება ერთი სადოქტორო დისერტაციის დაცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როდესაც საბჭოს სხდომას ქალბატონი მზექალა შანიძე ხელმძღვანელობდა. ხდება ასეთი რამ – განიხილავენ დისერტაციას და ქალბატონი მზექალა რაღაცაზე ბრაზდება, ბოლოს ერთ-ერთი ოპონენტის გამოსვლის შემდეგ მაგიდაზე ხელი დაარტყა და თქვა: – ბოლოს და ბოლოს ქართულად ილაპარაკეთ! მზექალა შანიძემ დისერტანტს ყველა ის ტერმინი ჩამოეთვა, რომელთა შესატყვისებიც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს და კარგადაც გამოიყენება. მან ისეთი მაგალითები მოიყვანა, სადაც 5 სიტყვიან წინადადებაში 3 უცხოური ტერმინი იყო. ამით იმის თქმა მიზნა, რომ ბარბარიზმების წინააღმ-



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიაში



დეგ ბრძოლა ადრეც მიმდინარეობდა და მომავალშიც გაგრძელდება. ხშირად მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ უცხოური ტერმინების გამოყენება, გარდა იმისა, რომ ენის ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნის, თაობის კულტურის ნიშანიცაა. რეალობა ასეთია: ჩვენ გვაკლია განათლება, გვაკლია მშობლიური ენის ფლობა.

ქალბატონი თინა ერისთვის შესაშურ საქმეს აკეთებს

ნინო დვალაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

– ჩვენთვის ქალბატონი თინა მარგალიტაძესთან ურთიერთობა უცხო არ არის. დაიწყო თუ არა ეს მოძრაობა, მაშინვე ჩავერთე მასში – გამოვიყენე ჩემი ფეისბუქ-გვერდი და ვაზიარებდი ყველა ბარბარიზმს, რომელიც კი დაიდო. ლექსიკონიც რამდენჯერმე გავაზიარე. ჩემი ყველა სტუდენტი უკვე იცნობს ამ მოძრაობას – ამის დასტურია ქალბატონი თინას ლექციაზე დასასწრებად შეკრებილ პირველკურსელთა ინტერესი, რომლებიც სულგანაბლნი უსმენდნენ ლექციას.

ქალბატონი თინა ერისთვის შესაშურ საქმეს აკეთებს. ერის აკადემიურობას ლექსიკონების რაოდენობაც განსაზღვრავს. ერისა და მისი

კულტურის დაცვა, სულიერების გადარჩენა პირდაპირ არის დაკავშირებული სწორ მეტყველებასთან, მით უფრო, როცა ამას ახალგაზრდა თაობას ასწავლი. მთელ მსოფლიოში ყველა ძალიან უფრთხილდება თავის ენას და უამრავი ლექსიკონი, სახელმძღვანელო თუ კვლევა აქვთ მიძღვნილი, ჩვენთან კი ლექსიკოგრაფიის მეცნიერებად ცნობაც კი გაჭირდა.

არასწორი მეტყველება განსაკუთრებით ისმის მედიიდან. ჩემი თაობა ჯერ რუსიციზმით იყო დაავადებული, ახლა – ანგლიციზმით... ქალბატონი თინა სწორედ ამ საზოგადოების განკურნებას ცდილობს და მას მხარდაჭერა სჭირდება. მივესალმება ამ მოძრაობას ყველა თავისი ჩაშლილი გეგმით... ჩვენ ერთად უნდა დავდგეთ ერის სადარაჯოზე.

ის ლექსიკონი, რომელსაც დღეს ლექციაზე გავიცანით, ძალიან საჭირო ნივთია

თამარ მადლიშვილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი:

– მოსაწონია ის ფაქტი, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ჩატარდა ლექცია – „არა ბარბარიზმებს!“. სტუდენტებისთვისაც მართლაც დიდი პრობლემაა დამახინჯებული

მეტყველება, რასაც ხშირად სხვაგან ვისმენთ. ეს არ ეხება უნივერსიტეტს, რადგან აქ გამართულად საუბრობენ და იშვიათად იყენებენ ბარბარიზმებს, მაგრამ ტელევიზიებში, ქუჩაშიც ხშირად მოგვისმენია ბარბარიზმებით გაჯერებული საუბარი. ვფიქრობ, მოძრაობა მთელ საქართველოს უნდა მოედოს. ის ლექსიკონი, რომელსაც დღეს ლექციაზე გავიცანით, ძალიან საჭირო წიგნია. ჩვენი მხრიდან, ვეცდებით, გავავრცელოთ ინფორმაცია ამ ლექსიკონზე და ამ მოძრაობაზე.

უკვე შეგვიძლია ერთმანეთისგან გავარჩიოთ – რომელი სიტყვაა ნამდვილი ქართული და რომელი – ბარბარიზმი

თათია დავითაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის II კურსის სტუდენტი:

– ჩემი კურსელები საკმაოდ დაინტერესებულნი არიან იმ აქციებით, რაც ბარბარიზმებთან ბრძოლას ეხება. ქალბატონმა თინა მარგალიტაძემ ძალიან საინტერესო ლექცია წაგვიკითხა. უკვე შეგვიძლია ერთმანეთისგან გავარჩიოთ – რომელი სიტყვაა ნამდვილი ქართული და რომელი – ბარბარიზმი. დღეს უკეთ გავაცნობიერეთ, რამდენად მნიშვნელოვანია – ვწეროთ, ვიფიქროთ და ვიაზროვნოთ ქართულად. ლექსიკონსაც გადავხედე და აღმოვაჩინე უამრავი სიტყვა, რომელიც მნიშვნელოვან არც კი ვიცოდით. ამისთვის დიდი მადლობა ქალბატონ თინას. ამ მოძრაობაში აქტიურად 5 სტუდენტი ვართ ჩართული. დავდივართ როგორც ბათუმის, ისე სხვა რეგიონების სკოლებში და ვატარებთ შესაბამის მეცადინეობებს. დღეიდან სკოლებში იმ ინფორმაციასაც გავავრცელებთ, რაც ლექციაზე მოვისმინეთ.





ახალი პროექტი თსუ-სა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს. პროექტის მიზანია საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისთვის მომზადება. პროექტს უფროს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისიის ოფისი აფინანსებს. მხარეებმა პირველი სამუშაო შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართეს. ღონისძიებას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მერაბ ბერიძე, უფროს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, თელავის, გორისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

„საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. გარდა ისტორიული გამოცდილებისა, ტოლერანტობა ქართულ პოლიტიკაშიც ვლინდება. ჩვენ საქართველოს მაგალითს რეგიონის სხვა სახელმწიფოებშიც ვიყენებთ. საქართველოში დიდი ხანია ვმუშაობთ, მათ შორის, მულტილინგვური განათლების საკითხებზე. ყურადღებას ვაქცევთ და, ამავდროულად, ვზრუნავთ, რომ გაძლიერდეს სახელმწიფო ენის სწავლება, რათა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა თავი საქართველოს ნაწილად იგრძნონ“, – განაცხადა უფროს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისიის უფროსმა პოლიტიკურმა მრჩეველმა მარკ ფუმაგალიმ.

პროექტის ფარგლებში იგეგმება საბაკალავრო დონეზე ახალი საგნის დანერგვა, სასწავლო კურსის შემუშავება, რომელიც ეთნიკურად ქართველი და, ასევე,



თსუ-ს ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისთვის შეიქმნება. პროექტი ითვალისწინებს კადრების სპეციალურ მომზადებასაც, რომლებიც შემდეგ სასწავლო კურსს გაუძღვებიან.

პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება“ პრეზენტაცია და პირველი სამუშაო შეხვედრა თსუ-ში 16 მაისს გამართა.



დებატების ახალგაზრდული ქსელი საქართველოში

2 მაისს უნივერსიტეტში პროექტის – „დებატების ახალგაზრდული კლუბების ქსელი საქართველოში“ პრეზენტაცია გაიმართა. საქართველოს დეპუტატებისა და განათლების ინსტიტუტის ხელმძღვანელის თინათინ ცერცვაძის ინფორმაციით, კლუბების ქსელი აერთიანებს

საქართველოს სამ რეგიონს: თბილისს, ახალციხესა და აჭარას. როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, პროექტის მიზნები და ამოცანებია: ფორმალური დეპუტატების პრაქტიკის დანერგვა, საუნივერსიტეტო ბაზაზე მდგრადი საგანმანათლებლო (დეპუტატების) კლუბების ჩამოყალიბება და



ახალგაზრდა მოდებატეთა ქსელის შექმნა, საქართველოს კონსტიტუციის შესახებ სტუდენტების სრული ინფორმირება სპეციალური ლექცია-სემინარების ჩატარების გზით, დეპუტატების ტურნირებისა და საჯარო დეპუტატების ორგანიზების გზით სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი მონაწილეობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„პროექტის ფარგლებში სტუდენტებისთვის მოხდება ყველა იმ უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა, ორატორული უნარების განვითარება, პრეზენტაციის გამართვის ტექნიკა, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება, მოსმენის კულტურა, ოპონენტის პატივისცემა და მრავალი სხვა; მოუწოება სხვადასხვა ტიპის შეჯიბრებები რეგიონების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს შორის. ამავე დროს დაგეგმილია რესპუბლიკური ტურნირიც, რომლითაც ეს პროექტი დასრულდება. მისასალმებელია, რომ თსუ-ს სტუდენტები თავიდანვე აქტიურად ჩაერთნენ პროექტის პრეზენტაციაში“, – განაცხადა თინათინ ცერცვაძემ.

როგორც პროექტის პრეზენტაციაზე აღინიშნა, დეპუტატების ერთ-ერთი თემა-



ტიკა კონსტიტუციის განხილვა იქნება, რადგან დღეს ეს საკითხი ძალზე აქტუალურია და ახალგაზრდებსაც აინტერესებთ. თინათინ ცერცვაძის ინფორმაციით, პროექტი აპრილის თვეში დაიწყო და 2018 წლამდე გაგრძელდება.

პროექტი ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს დეპუტატებისა და განათლების ინსტიტუტის ინიციატივით, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით.



სტუდენტები მოსწავლეებისათვის



დანაშაული – კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა“ (ლევან ჯანგულაშვილი), „ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობა – ქართული და საერთაშორისო სამართლის შედარებითი ანალიზი“ (გვანცა გულიაშვილი).

„მოსწავლეებმა გარკვეული ცოდნა მიიღეს სამართლის აქტუალურ საკითხებზე, რამაც მათი დაინტერესება გამოიწვია – ეს დისკუსიის პროცესშიც კარგად გამოჩნდა“, – აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელმა მარიამ ხუროშვილმა.

კონფერენციას მოსწავლეებთან ერთად ესწრებოდნენ სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. თბილისის 207-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის ნინო მიქავას განცხადებით, აღნიშნულ ფორმატში ღონისძიებების გამართვა ერთჯერად ხასიათს არ უნდა ატარებდეს: „საქართველოში კანონიერების კულტურა დამკვიდრებული არ არის. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეებს გაცნობიერებული არ აქვთ ამა თუ იმ ქცევის შედეგები. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია, რაც მათი ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს“.

„სტუდენტებმა საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე, სასჯელის ისტორიაზე, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე. კონფერენციაზე წარმოდგენილი კვლევები შეაფასა სპეციალურად შერჩეულმა ჟიურმა, რომელმაც გამოავლინა 3 საუკეთესო მოხსენების ავტორი სტუდენტი – როინ ხინთიბიძე,



მარიამ ბეგიაშვილი და ნინო შარამანაშვილი.

რამდენიმე მომხსენებელი თბილისის საკრებულოში სტაჟირებით დაჯილდოვდა. კონფერენციაზე წარმოდგენილი საუკეთესო ნაშრომები ჟურნალის – „სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემები“ პირველ ნომერში გამოქვეყნდება.

„ასეთი პროექტები მნიშვნელოვანია, რადგან სტუდენტებს მოტივაცია

უჩნდებათ დასაქმდნენ, ჩაერთონ კვლევით პროცესში და მოსწავლეებს საკუთარი ცოდნა გაუზიარონ“, – განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა მაია ივანიძემ.

სამეცნიერო კონფერენცია „სტუდენტები მოსწავლეებისათვის“ თსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს დაფინანსებით 18 მაისს გაიმართა.



ახალი სახელმძღვანელო – რევოლუციური მიდგომა ეკონომიკის სწავლებაში

თამარ ლალიანი

როგორც წესი, ეკონომისტი იწვევენ თეორიების შესწავლას და პრაქტიკულ ცოდნას მხოლოდ მოგვიანებით იღებენ კარიერის შექმნის დროს. სახელმძღვანელო, რომელიც თსუ-ის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის მიერ ითარგმნა და გამოიცა, სტუდენტებს ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესისათვის მომზადებაში დაეხმარება და ნამდვილად შექმნის პოლიტიკურ ფასს მათ აკადემიურ განათლებაში.

სახელმძღვანელოს „ეკონომიკური პოლიტიკის“ შესახებ გვესაუბრება თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რეზა გველსინანი:

– ბატონო რეზა, სულ ახლახან თსუ-ს ეკონომიკური პოლიტიკის კათედრამ მოამზადა და ითარგმნა ახალი სახელმძღვანელო ეკონომიკური პოლიტიკის, რომელიც ეკონომიკურმა საზოგადოებამ შეაფასა, როგორც რევოლუციური მიდგომა ეკონომიკის სწავლებაში. რით დაინსახურა სახელმძღვანელო ასეთი აღიარება?

– სამეცნიერო კვლევისა და პრაქტიკული მართვის უდიდესი გამოცდილების მქონე, მსოფლიოში ცნობილი ოთხი ფრანგი მეცნიერისა და ექსპერტის, პროფესორების: აგნეს ბენასი-კურის, ბენუა კიურის, პიერ ჟაკის და ჟან პისანი-ფერის მიერ გამოცემული ეს წიგნი უმთავრესი და უოგლისმომცველი სახელმძღვანელოა მათთვის, ვისაც სურვილი აქვს შეისწავლოს ეკონომიკური პოლიტიკა და მოღვაწეობა გააგრძელოს ამ სფეროში.

პოლიტიკა თანამედროვე ეკონომიკებზე, ნორმატიული საკითხები (რა მიზნებს უნდა ესწრაფოდეს ის, ვინც პოლიტიკას განსაზღვრავს და რა კონტექსტში უნდა შეფასდეს მისი საქმიანობა) და ეკონომიკურ-პოლიტიკური იძულებები (შეზღუდვები და დაბრკოლებები, რომლებსაც სამოქალაქო ინტერვენციისას ვაწუჭებთ).

წიგნის სტრუქტურა 8 თავს მოიცავს. პირველი ორი თავი გაგაცნობთ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების ზოგად მონახას. პირველი თავი განიხილავს მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და იმ ხერხებს, რომლებიც გამოყენებულია წიგნში. მეორე თავი ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთდასაყრდენ ელემენტებს განიხილავს: ხაზს უსვამს მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის საზღვრებს და იმ ეკონომიკურ-პოლიტიკურ არგუმენტებს, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული ამ საკითხის ოპტიმიზაციისათვის; 3-7 თავებში განიხილულია ეკონომიკური პოლიტიკის ხუთი სახეობა: ფისკალური პოლიტიკა (თავი 3), მონეტარული პოლიტიკა და ფინანსური სტაბილურობა (თავი 4), საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა, ვალუტის გაცვლის კურსის რეჟიმების არჩევა და ვალუტის გაცვლის კურსის პოლიტიკა (თავი 5), გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა (თავი 6) და საგადასახადო პოლიტიკა (თავი 7). ბოლოს, მე-8 თავი განიხილავს 2007-2009 წლების გლობალურ კრიზისს და ამ კრიზისიდან მიღებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გამოცდილებას.

– რით განსხვავდება ეს წიგნი სხვა სახელმძღვანელოებისაგან? რაში მდგომარეობს მისი უნიკალურობა?




– ეს წიგნი ეფუძნება იმ აზრს, რომ თეორიასა და პრაქტიკას შორის გაწვეტილი კავშირი ხელისშემშლელია, როგორც კარგი კვლევების წარმოებისთვის, ისე რაციონალური და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისთვის.

განხილვით. წიგნის მიზანი სწორედ ამ სივრცის ამოვსებაა. შედეგად ნამდვილად განსხვავებული წიგნი მივიღებთ. ფაქტების, თეორიების და პრაქტიკის ნაერთ სრულიად განსხვავდება იმისგან, რასაც სხვა სახელმძღვანელოებში შეხვდებით. ავტორები ფიქრობენ, რომ ამ წიგნის უპირატესობა სწორედ ეს სტრუქტურული ეკლექტიზმია. მათი უპირველესი მიზანი იყო დახმარებოდნენ მკითხველს ეპონა კავშირი იმ თეორიასა (რომელიც ისწავლეს უნივერსიტეტებში) და იმ ეკონომიკურ-პოლიტიკურ პრაქტიკას შორის, რომელიც გვხვდება უოველდღიურ ცხოვრებაში სამინისტროებში, ცენტრალურ ბანკებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

მოცემული სახელმძღვანელოს უნიკალურობაზე მეტყველებს საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერებისა და ექსპერტების ის შეფასებები, რომლებიც მოცემულია მის გარეკანზე. მათ შორის გამოვყოფთ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის, ამ წიგნის წინასიტყვაობის ავტორის ოლივიე ბლანშარის მოსაზრებას: „ეს ის წიგნია, რომელსაც დიდი სიამოვნებით გამოვაქვეყნებდი. ნამდვილად დიდი ხნის განმავლობაში მსურდა ამ სახის წიგნის გამოცემა. ეს სურვილი დანაშაულის გრძობამ გამოიწვია. დიდი ხანია ვგრძნობდი, უმალესი განათლების საფეხურისათვის განკუთვნილი წიგნი, რომელიც სტენ ფიშერთან ერთად გამოვეცი, არასწორ გზავნილს გასცემდა. მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ წარმოგვედგინა მოდელი და მათი ლოგიკა, ნაცვლად იმისა, რომ მათ გამოყენებაზე გაგვემახილებინა ურადლება. საკმაოდ კარგი გამამართლებელი არგუმენტიც გვქონდა – ჩვენ, პირველი რიგში, გვსურდა წარმოგვეჩინა“.



ნა მაკროეკონომიკური თეორიის ინტელექტუალური სტრუქტურა. მოგვიანებით, ემპირიული მასალის მიხედვით, თეორია მნიშვნელოვნად შორს იყო პრაქტიკისა და ფაქტებისგან. თეორია კი ფაქტების გარეშე ბევრად უფრო მარტივია და მისგან სარგებელიც მცირეა. მსგავსი წიგნის დაწერა ასევე იმიტომ მსურდა, რომ გამოეჩინებინა სტუდენტებისთვის ჩემი აღფრთოვანება თეორიებს, ფაქტებსა და პოლიტიკას შორის არსებული კავშირებით. აგნეს ბენასი-კურის, ბენუა კიურის, პიერ ჟაკი და ჟან პისანი-ფერი მარწმუნებდნენ, რომ ეს მე უნდა გამეკეთებინა. ბედნიერი ვარ, რომ მათ თავად დასავლეთის წამყვანი სა-მუშაო შეასრულეს, ვიდრე მე ამის იმედი მქონდა. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი სტუდენტები ასეთი სახელმძღვანელოებიდან მიღებული ცოდნით ნამდვილად ლაღად იგრძნობენ თავს იმ კონკურენტულ გარემოში, რომელიც დასავლეთის წამყვანმა უნივერსიტეტებმა შექმნეს“, – აცხადებს ოლივიე ბლანშარი.



P.S. შეგახსენებთ, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის მიერ ითარგმნა და გამოიცა დასავლეთის სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროში აღიარებული სახელმძღვანელოები ეკონომიკური პოლიტიკისა და მეწარმეობაში: რაინერ კლუმპი – „ეკონომიკური პოლიტიკა: მიზნები, ინსტიტუტები და ინსტიტუციები“ (2015 წ.), (ბაკალავრიატის საფეხური) და გიუნტერ ფალტინი – „გონება ამაჩვენებს ყაჩაღს“ (2015 წ.), (მაგისტრატურის საფეხური); ხოლო 2016 წელს – ეკონომიკური პოლიტიკის კიდევ ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო მაგისტრანტებისათვის – აგნეს ბენასი-კურის, ბენუა კიურის, პიერ ჟაკის და ჟან პისანი-ფერის „ეკონომიკური პოლიტიკა (თეორია და პრაქტიკა)“.

სახალისო სახითხავი „მოსაწყენი ეკონომია“

თამარ ლალიანი

სტერატურული ჟანრი – სატირა – უკვე დიდი ხანია ქართული მწერლობიდან გაქრა, მაშინ, როცა არსებობდა ტრადიცია, რომელიც საბჭოთა საზოგადოებაშიც კი საკმაოდ პოპულარობით სარგებლობდა. სატირა საკმაოდ მძლავრი იარაღია იმისთვის, რომ დანახოს საზოგადოებას ამა თუ იმ მოვლენის ნამდვილი სახე. პოლიტ-ეკონომიკური სატირის შესანიშნავი ნიმუშია თსუ-ს პროფესორის, ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ემზარ ჭგერენიას ახალი წიგნი „პოლიტ-ეკონომიკური სატირა-3“.



„წინამდებარე ნაშრომი ბოლო 10 წლის განმავლობაში ეკონომიკური პრობლემების პუბლიცისტურ ანალიზს წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ ნაშრომში გადმოცემულია ამ დროის განმავლობაში ჩვენი საზოგადოების წინაშე არსებული ეკონომიკური პრობლემების (რომელიც მუდამ

კრემლნარევი იუმორით გადმოგვცემს თავის ნაფიქრალს, დამოკიდებულებასა და ხედვას ეკონომიკური საკითხების მიმართ. „იუმორი ერთადერთია სიმღერასთან ერთად, რაც ჩვენს ერს არ დაუკარგავს და რამაც ვაგვადმლებინა. ამიტომაც ავირჩიეთ სატირა... შეიძლება ჩემმა ოპონენტებმა ჭოქოლა დამაპარონ, ეს სატირა არ არის, ფაბულით არ ჰგავს, შინაარსში გადახვევებიან და ა.შ., მაგრამ ეს ეკონომიკური სატირაა“, – წერს ავტორი ჯერ კიდევ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში.

ასე გახადა ავტორმა მოსაწყენი ეკონომიკა ხალხისთვის უფრო გასაგები, სახალისო საკითხავი. უარყოფით საზოგადოებრივ მოვლენებზე მსუბუქი იუმორი და შარუი სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხია, რომელსაც ოსტატურად იყენებს ავტორი სხვადასხვა პრობლემატური ეკონომიკური საკითხების განხილვისას, რაც წიგნს განსაკუთრებულ ხიბლსა და ორიგინალობას სძენს.

წიგნის ახალ გამოცემაში ავტორი საქართველოს ევროპულ

არჩევანსა და ამ გზაზე შემდგარი სახელმწიფოს ეკონომიკურ ხედვასა და მოდელზე საუბრობს. დაუფარავად ამხელს ყველაფერს, რაც სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნდამენტის მშენებლობას და ევროპულ ბაზარზე ინტეგრირებას უშლის ხელს. „ხან სინგაპურის გზა მოსწონდათ პოლიტიკოსებს და ხან ჰონკონგის, მაგრამ საქართველოს თავისი არჩევანი და თავისი გზა გაჩნდა. ის არც სინგაპურია და არც ლიხტენშტეინი, ის საქართველოა (!!!), ევროპული საქართველო და სახეც თავისი აქვს, ტანიც და სულიც. ის განწირულია, დიხს განწირული... გამარჯვებისთვის! მაგრამ რა უნდა? ეს ერთად უნდა გადავწყვიტოთ“.

...აქ გამხელთ ყველას და ყველაფერს სატირის ენაზე, რაც ხელს უშლის ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნდამენტის მშენებლობას და ევროპულ ბაზარზე ინტეგრირებას, რათა არ მოვატყუებინოთ თავი არავის და ვაშენოთ ქვეყანა!.. სტილი არ ვლტობთ და სატირანარევი იუმორით ვაწვდით მკითხველებს მწარე ეკონომიკური დეფე-

ქტებით გაზავებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს. ძნელია, მოსაწყენი ეკონომიკური თეზისებისა და პრობლემების ურიცხვრიგად ადევნო თვალ-ყური, ამიტომ ვცდილობ, მას იუმორის ფერუმარილი შევუერთო, რაც, ვფიქრობ, უფრო მიხარება“, – აცხადებთ მე-3 გამოცემის წინასიტყვაობაში.

ავტორი სახრიანად იყენებს ბლოგებში გაუღებულ საკუთარ თვალსაზრისებს და ხედვებს დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური რეალობის წარმოსაჩენად. ერთი შეხედვით შესაძლოა, ავტორის ნაფიქრალმა მსუბუქი ლიმიტი მოგვეგვაროს, მაგრამ როგორც კი ნაწერს ჩავუღრმავდებით, მასში გარკვევით დავინახავთ იმ სერიოზულ და აქტუალურ პრობლემებს, რომლის წინაშეც დგას დღეს ჩვენი ქვეყანა.

წიგნის რედაქტორები არიან: პროფესორები: დავით ნარმანი და ეკა ლეკაშვილი. წიგნი გამოიცა არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ეკონომიკის და ბიზნესის ინსტიტუტის“ მიერ.



ლევ ტოლსტოის ტრაქტატი – „რა არის ხელოვნება?“ და მისი მნიშვნელობა

ჰარტონია ბაროშვილი

რა არის ჰუმანიტარი ხელოვნება? – ეს კითხვა კაცობრიობას დღემდე აწუხებს. ცნობილი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის ტრაქტატმა თავის დროზე საზოგადოებაში დიდი დაინტერესება და აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია. მწერლის ნააზრევნი დღემდე დიდ ინტერესს იწვევს. სწორედ ლევ ტოლსტოის ამ განხილვებულ ნაშრომს ანალიზს მივძღვნავთ თსუ-ს ასოცირებული პროფესორის ეკა ვარდოშვილის ახალი წიგნი – „ლევ ტოლსტოის ტრაქტატი – „რა არის ხელოვნება?“ და მისი მნიშვნელობა“, რომლის პრეზენტაცია 19 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ღონისძიება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა თედო დუნდუამ გახსნა, რომელმაც ავტორს წიგნის გამოცემა მიულოცა. აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნი გამოსცა გამომცემლობა Palmarium Academic Publishing-მა (საარტიკული) 2016 წელს და იგი გათვალისწინებულია ჰუმანიტარულ სფეროში მომუშავე მეცნიერებისა და მკითხველთა ფართო წრისთვის. გერმანიის ნაციონალური ბიბლიოთეკის აღნიშნული მონოგრაფია შეტანილი აქვს გერმანიის ნაციონალურ ბიბლიოგრაფიაში, რაც მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ-გერმანული ურთიერთობებისთვის.

პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე მოხსენებით წარსდგა წიგნის ავტორი ეკა ვარდოშვილი, რომელმაც ლევ ტოლსტოის ტრაქტატის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ლევ ტოლსტოის თეორიული სახის ტრაქტატი – „რა არის ხელოვნება?“, ხელოვნების არსისა და დანიშნულების საკითხებზე მსჯელობასთან ერთად, შეიცავს კულტურული ინტეგრაციის საკითხებისადმი თანამედროვე მიდგომებს. ნაშრომში, ასევე, საუბარია – როგორ აისახა კულტურული ინტეგრაციის საკითხი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის 10-იან წლებში ქართულ ლიტერატურა-სა და მეცნიერებაში საერთო ევროპული ლიტერატურული პროცესების ფონზე. ავტორი შესავალ ნაწილში ყურადღებას ამახვილებს ლევ ტოლსტოის ნაშრომის – „რა არის ხელოვნება?“ – ძირითად ტენდენციებზე, ასევე საუბრობს რელიგიური ცნობიერების მნიშვნელობაზე საზო-

გადოებისათვის ნ. გოგოლის რელიგიური ნააზრევის საფუძველზე, განიხილავს კულტურული ინტეგრაციის საკითხს XIX საუკუნის საქართველოში ილია ჭავჭავაძის შემოქმედების და კიბა აბაშიძის მეცნიერული ნააზრევის საფუძველზე. „ცნება – მსოფლიო ლიტერატურა – პირველად იოჰან ვოლფგანგ გოეთემ დაამკვიდრა. რომანტიკოსთა პოეზიაში გვხვდება გამოთქმა – მსოფლიო პოეზია, ქართულ სინამდვილეში კი ტერმინი – ევროპეიზმი ილია ჭავჭავაძეს შემოაქვს. 1897-1898 წლებში ლევ ტოლსტოი, მკაცრი ცენზურის პირობებში, აქვეყნებს ნაშრომს: „რა არის ხელოვნება?“. 1889 წელს ტრაქტატი გამოდის ლონდონში ინგლისურ ენაზე ავტორის წინასიტყვაობით. ლევ ტოლსტოი ცდილობს საზოგადოებას წარუდგინოს ნაშრომი, რომლის მთავარი მიზანი, ხელოვნების არსის განმარტებასთან ერთად, იმის დასაბუთებაა – თუ ვის ეკუთვნის ხელოვნება. მან თავისი ტრაქტატი მიუძღვნა მშობრულ ხალხს, როგორც საზოგადოების ყველაზე დიდ ნაწილს და თვლის, რომ ხელოვნება საერთო სახალხო კუთვნილებაა, რომლის შექმნაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით რიგით ადამიანებს და რომ ადამიანებს, საკუთარი შრომისა და სიცოცხლის გარდა, ხშირად უხდებათ ხელოვნების მსხვერპლად გაღება, როგორცაა სიკეთე და სიყვარული. ნაშრომში ლევ ტოლსტოი აღნიშნავს, რომ „მომავლის ხელოვნების“ შინაარსი იქნება მხოლოდის გრძობა თუ განცდები, რაც ადამიანებს ერთობისკენ უბიძგებენ, ანდა აწმყოში აერთიანებენ“. ხელოვნების ამოცანაა: „ჰუმანიტარულ ხელოვნებამ მეცნიერების დახმარებით უნდა მიაღწიოს ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებას“.

ამრიგად, ლევ ტოლსტოი თავის ტრაქტატში განიხილავს ხელოვნებისა და ლიტერატურის ზოგადთეორიულ საკითხებს. იგი აკრიტიკებს ხალხს მოწვევით ბატონკაცურ ხელოვნებას. ტოლსტოის აზრით, რელიგიური ცნობიერების გარეშე შეუძლებელია ხელოვნების სრულყოფილად აღქმა. ტოლსტოის მსგავსად, ნ. გოგოლი თანამედროვე საზოგადოების უბედურების მიზეზს იმაში ხედავდა, რომ საზოგადოებაში ღვთისადმი რწმენამ იკლო. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ნაშრომი: „ნააზრევი საღვთო ლიტურგიის შესახებ“.

რაც შეეხება კულტურული ინტეგრაციის საკითხს XIX საუკუნის საქართველოში, ამ საკითხის გაანალიზებისას ნაშრომის ავტორი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მაგალითზე მსჯელობს. „ილია დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს მსოფ-

ლიო განვითარების პროცესებს, ამასთანავე, ცდილობდა შეექმნა ეროვნული ნიშნის მატარებელი ტიპები. იგი იცნობდა და იყენებდა ჰეგელის შრომებს: პოეზიისა და სულის ურთიერთმიმართების საკითხის განხილვისას ილია ჭავჭავაძე ეყრდნობა ჰეგელის ნაშრომს: „ესთეტიკის კურსი, ანუ მეცნიერება ნატური ხელოვნების შესახებ“. ერის სულის ილიასული გაგება ეფუძნება ჰეგელის ფილოსოფიურ ნააზრევს სულის შესახებ, კერძოდ, მის მეორე ნაშრომს: „სულის ფენომენოლოგია“.

„ჩვენი მიზანი იყო, საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა, რამდენად ჩანს ლევ ტოლსტოის ტრაქტატში მომავლის ხედვა. ამოსავალ დებულებად მივიჩნიეთ, რომ „ხელოვნებას, ნებისმიერ ხელოვნებას თავისთავად ახასიათებს ადამიანთა გაერთიანების უნარი“ (ლევ ტოლსტოი). ხელოვნება არის უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, განურჩევლად სქესისა, წარმომავლობისა, აღმსარებლობისა, სოციალური მდგომარეობისა და ეროვნებისა. დღევანდელი გადასახედიდან, ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე, რაზედაც ლევ ტოლსტოი მსჯელობს ტრაქტატში, გახლავთ კულტურული ინტეგრაციის საკითხი, რაც, მისი თვალთახედვით, ეფუძნება ერთიან რელიგიურ ცნობიერებას საზოგადოებაში. ჩვენი მიზანი იყო, ასევე, გვეჩვენებინა, როგორ აისახა კულტურული საკითხი XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართულ ლიტერატურასა და მეცნიერებაში, რომ ქართული კულტურა თავისი არსით არის ევროპული კულტურის განუყოფელი ნაწილი“, – ამბობს წიგნის ავტორი.

პრეზენტაციაზე წიგნის შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა თსუ-ს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა აპოლონ სილაგაძემ: „ამ წიგნის გამოცემას მივესალმები... ავტორმა, ეკა ვარდოშვილმა საინტერესოდ გააანალიზა ტოლსტოის ეს ნაშრომი და საინტერესო პარალელურებას გაავლო ნ. გოგოლის შემოქმედებასთან. ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, ილია ჭავჭავაძის ნააზრევის ამ კუთხით გაცნობა. ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ იგი მართლაც გლობალურად აზროვნებდა. საინტერესო იყო, ასევე, კიბა აბაშიძის მეცნიერული ნააზრევის საფუძველების განხილვა. ამ წიგნის გაცნობის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ იგი შესანიშნავი ლიტერატორი და კრიტიკოსია, რომელიც ბოლომდე არ არის დაფასებული. გულოცავ წიგნის ავტორს

პრეზენტაცია



ეკა ვარდოშვილი

და, ამავე დროს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, რომ ასეთი კარგი წიგნი გამოიცა“, – განაცხადა აპოლონ სილაგაძემ.

პრეზენტაციაზე წიგნის შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ლადო მინაშვილმა. „ის ფაქტი, რომ ეს წიგნი გამოიცა, თავისთავად, სასიამოვნო ფაქტია. ეს მკვლევარისთვის ერთგვარი აღიარებაა, რაც არა მარტო დიდი პატივია, არამედ მისთვის ერთგვარი პასუხისმგებლობაც არის. პრაქტიკულად, მეცნიერმა თავისი ნაშრომი შესთავაზა როგორც ქართულ, ისე სხვა ეროვნების მკითხველებსაც. როდესაც ქალბატონმა ეკამ, როგორც ასოცირებული პროფესორმა, უნივერსიტეტში თავისი მოღვაწეობა დაიწყო, მან შემოგვთავაზა კურსი – „XIX საუკუნის ქართული მწერლობა და დასავლეთ ევროპის ლიტერატურა“. იგი ამ სფეროში სერიოზულად მუშაობს და გარკვეული შედეგებიც სახეზეა. ტოლსტოის ეს ნაშრომი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. ტრაქტატმა საზოგადოებაში თავიდანვე დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საინტერესოა, ასევე, ილია ჭავჭავაძისა და კიბა აბაშიძის შემოქმედებისა და ნააზრევის განხილვაც. ამ ნაშრომში, ასევე, სხვა დიდი ავტორების ნააზრევზეც არის საუბარი. წიგნის ავტორს ეკა ვარდოშვილს გულოცავ ამ წარმატებას. გერმანიაში წიგნის გამოცემა, მართლაც, საპატიო საქმე და სასიხარულო ფაქტია. იმედი გვაქვს, მომავალში წიგნის ქართულ თარგმანსაც ვიხილავთ“, – განაცხადა ლადო მინაშვილმა.

წიგნის მასარიკის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სლავისტიკის ინსტიტუტის ფილოლოგიის დოქტორის, ჯოზეფ დონალის რეცენზია ახლავს, რომელშიც მკვლევარის მთავარ მიგნებებსა და ნაშრომის ღირსებებზეა საუბარი.

„ხმა ქართველი ქალისა“ 100 წლის უბედვ

ჰარტონია ბაროშვილი

„ხმა ქართველი ქალისა“ 100 წლის უბედვ ისევ გაისმა. საინტერესოა, რაზე მსჯელობდნენ საუკუნის წინ ქართველი ქალები, რომლებმაც კერ კიდევ არ იცოდნენ გენდერის მნიშვნელობა და როგორ იცავდნენ თავიანთ უფლებებს. გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ ქუთაისში, 1917-1918 წლებში გამოცემულა ფემინისტის, საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის კატო მიქელაძის თაოსნობით. მკითხველისთვის ალბათ დღესაც საინტერესოა ის პრობლემატიკა, რომელსაც ქართველი ქალები ეხებოდნენ.

10 მაისს თსუ-ს გენდერის კვლევების ინსტიტუტის ორგანიზებით ამავე სახელწოდების სამეცნიერო ულტრარონული ყურნალის პირველი ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ს რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.



ღონისძიების ორგანიზატორთა ინფორმაციით, „ხმა ქართველი ქალისა“ 100 წლის უბედვ არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევების ინსტიტუტის მიერ შექმნილი სამეცნიერო-პუბლიცისტური ყურნალი, რომელიც ფემინისტური გაზეთის 100 წლისთავთან დაკავშირებით იმავე სახელწოდებით დაარსდა. მისი მიზანია შექმნას ერთგვარი პლატფორმა თანამედროვე, ადგილობრივი ფემინისტური, ინტერდისციპლინური აკადემიური ნააზრევის ხელშეწყობისა და განვითარებისთვის.

თსუ-ს პრორექტორის მიხეილ ჩხენკელის თქმით, ყურნალის შექმნა გენდერის განვითარებას და საზოგადოების ინფორმირებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს: „ეს ყურნალი იმითაც არის მნიშვნელოვანი და საინტერესო, რომ საქართველოში გენდერის კვლევაში მსგავსი ყურნალი არ არსებობს, სიმბოლურია, რომ პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, ამას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ ჩვენ ძალიან ძლიერი



ინსტიტუტი გვაქვს, რომელიც გენდერული კვლევებით არის დაკავებული. ამასთან, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული ჩვენი სტუდენტები და ამ ყურნალშიც წერენ სტატიებს“, – აღნიშნა მიხეილ ჩხენკელმა.

პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა თსუ-ს პროფესორის ლელა გაფრინდაშვილის მოხსენება: „წერა, ბედისწერა და ქალების მიმოწერა“, სადაც მეცნიერმა ვრცლად მიმოიხილა ქართული მწერალი ქალების ბედი 20-30-იანი წლების საქართველოში. ჩემი სტატიის მთავარი კითხვაა – რა ბედი ჰქონდათ საბჭოთა ქალებს? იყვნენ თუ არა ისინი რეპრესირებული და დევნიდა თუ არა მათ სისტემა? ნაშრომი საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოგაზრდად, სადაც ძირითადი აქცენტი ქალების მიმოწერაზეა გამახვილებული“, – განაცხადა ლელა გაფრინდაშვილმა.

როგორც პრეზენტაციაზე აღნიშნა, ყურნალი ელექტრონული ფორმით მიეწოდება მომხმარებელს და მასში გაშუქდება გენდერთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი თემები, რომლებიც დღესაც საზოგადოების ინტერესს იწვევს. ღონისძიების მხარდამჭერები არიან: თსუ-ს გენდერის კვლევების ინსტიტუტი, ქალთა ფონდი საქართველოში და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

ავტორიზაციის განახლებული პროცედურებისა და სტანდარტების დანერგვის შესახებ



მე-2 გვერდიდან

განმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. ხუთშაბათი დღე გამოცხადდება საკონსულტაციო დღე და დაინტერესებულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა – მიიღონ საჭირო ინფორმაცია.

ცენტრის დირექტორმა ისაუბრა პილოტირების ვადებსა და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შესახებ, შეფასების პროცესში საერთაშორისო ექსპერტის ჩართვისა და საკვანძო დოკუმენტაციის ორ ენაზე მომზადების საჭიროების თაობაზე.

პილოტირებაში მონაწილეობის მზადყოფნა გამოხატა 17-მა დაწესებულებამ, საიდანაც შეირჩევა მხოლოდ 3 – საჯარო, კერძო და რევიონში მდებარე

უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

„ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების დანერგვა მნიშვნელოვანი გარდატეხა იქნება განათლების ხარისხის ასამაღლებლად. ეს არის რთული, მაგრამ შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯი. სახელმწიფოს აკისრია მნიშვნელოვანი როლი - მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს დაწესებულებებს განახლებული სტანდარტების დანერგვაში. პილოტირების რეჟიმში დაგეგმილი გვაქვს დაწესებულებების მხარდაჭერი ღონისძიებები, კონსულტაციები, გამოყოფილია ფულადი რესურსები“, – აღნიშნა თამარ სანიკიძემ.

რექტორთა საბჭო ყოველთვიურად იკრიბება და ერთობლივად განიხილავს უმალესი განათლების განვითარების მიმართულებით არსებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, ხდება მოსახრებების შეჯერება და მიიღება ერთობლივი გადაწყვეტილებები. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინიციატივით, რექტორთა საბჭო ყოველ ჯერზე სხვადასხვა უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმართება, რაც საშუალებას აძლევს საბჭოს წევრებს – უშუალოდ გაეცნონ სხვა უნივერსიტეტების სასწავლო გარემოს, მათი სწავლების მეთოდებს და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ.

eeq.gov.ge

უნივერსიტეტთა წარმატება ევროპის ჩემპიონატზე ძალისმიერ სამჭიდში



5-7 მაისს, საბერძნეთში, ქალაქ ათენში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში და სამჭიდის ცალკეულ მოძრაობებში GPA GPA-D ვერსიით, სადაც მონაწილეობდა თსუ-ს ორი სტუდენტი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან ლუკა გაბუნია და ტურიზმის საერთაშორისო სკოლიდან გიორგი დვალმა.

ლუკა გაბუნიამ, რომელიც გამოდიოდა GPA-ს ვერსიით 125 კგ. წონით კატეგორიაში, მოიპოვა ორი იქროს მედალი ძალისმიერ სამჭიდში და ორჯიდში. ორჯიდში მან დაამყარა ევროპის რეკორდი 20 წლამდელთა ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო ძალისმიერ სამჭიდში შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და მიიღო სპორტის ოსტატის წოდება.

გიორგი დვალმა, რომელიც გამოდიოდა GPA-D-ს ვერსიით, (90 კგ) ასევე მოიპოვა ორი ოქროს მედალი ღია ასაკობრივ კატეგორიაში.



შეჯიბრებაზე საქართველოს სულ 4 სპორტსმენი წარადგინდა, რომელთაც მოიპოვეს გუნდური III ადგილი, რაც დიდი წარმატებაა როგორც ჩვენი უნივერსიტეტის, ასევე მთელი საქართველოსთვის.

მოციხეაშვილის გვერდი

53/2017

17.05.2017

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის, „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტისა და თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2017 წლის 16 მაისის №7277/10 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო აცხადებს:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით.
2. დამტკიცდეს ტექსტი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, ლად კანდიდატის შერჩევის მიზნით.

პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყების, მათი შერჩევის კრიტერიუმებისა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხის შესახებ (დანართი №1).

3. კონკურსის ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, 2017 წლის 1 ივნისამდე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცდეს შესაბამისი კომისია.

4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

5. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართი გამოქვეყნდეს გაზეთებში - „რეზონანსი“ და „თბილისის უნივერსიტეტი“.

6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

7. დადგენილება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

გიორგი შარვაშიძე,
რექტორი,

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი 1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, კრედიტაციის შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.
2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 2 ივნისის 10:00 საათიდან (მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114) და დასრულდეს 2017 წლის 7 ივნისის 18:00 საათზე (6 კალენდარული დღე).
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ განხორციელდეს 2 ეტაპად:
 - ა) დოკუმენტაციის გაცნობა - 2017 წლის 9 ივნისიდან არაუგვიანეს 12 ივნისისა;
 - ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება - 2017 წლის 13 ივნისიდან არაუგვიანეს 16 ივნისისა.
 4. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 23 ივნისი.
 5. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტისათვის შემდეგი კრიტერიუმები:
 - ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
 - ბ) აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;
 - გ) მართვის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;
 - დ) საზღვარგარეთის ქვეყნების უმალეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება;
 - ე) ერთ-ერთი უცხო ენის (სასურველია ინგლისურის) სრულფასოვნად ფლობა;
 - ვ) სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
 - ზ) ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტების ცოდნა;
 - თ) ასაკი 65 წლამდე.
 6. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა:
 - ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ფოტოსურათიანი გვერდის ასლი;
 - გ) ავტობიოგრაფია (CV);
 - დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3 X 4-ზე;
 - ე) უმალესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ვ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ზ) აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობისა და მართვის გამოცდილების ქონის დამადასტურებელი დოკუმენტები (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);
 - თ) კვალიფიკაციის ამაღლების (გადამზადების) დამადასტურებელი სერტიფიკატების, დიპლომების და სხვა ასლები;
 - ი) კონცეფცია და წლების მიხედვით დეტალურად გაწერილი სამოქმედო გეგმა;
 - კ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;
 - ლ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.



„UNIადრი – 2017“



კონკურსში გამარჯვებული ფოტოები

პრეტენია ბაროვკილი

ფოტოზე, რომელიც სტუდენტური კონკურსის „UNIადრი – 2017“-ის გამარჯვებული გახდა, დამლაგებელია გამოსახული, რომელიც მონდომებით ალაგებს უნივერსიტეტს. ფოტოს ავტორის ნუცა ნიკოლაიშვილისთვის ეს გამარჯვება მოულოდნელი და სასიხარულო იყო. ჟიურის წევრების გადაწყვეტილებით მას პირველი ადგილი ერგო.

„ჩემი სათქმელი სწორედ ამ ფოტოს საშუალებით ვთქვი. უნივერსიტეტი ყველასთვის ძალიან ძვირფასია და ყველა ადამიანი, ვისაც როგორ შეუძლია, ისე უნდა მოუაროს მას. კონკურსში გამარჯვება კი ჩემთვის მართლაც მოულოდნელი იყო და, რასაკვირველია, ძალიან გამიხარდა. პრიზი – პლანშეტური კომპიუტერიც მომეწონა. იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ, მაგრამ, ამავე დროს, ფოტოგრაფიითაც ვარ გატაცებული და ყოველთვის, როდესაც საინტერესო მოვლენას შევესწრები, ფირზე ავსახავ“, – გავიზიარა თავისი შთაბეჭდილება ნუცა ნიკოლაიშვილმა.

დაკვირვების ცერემონიაზე გამარჯვებულ სტუდენტებს თსუს კანცლერი ნუნუ ოვსიანიკოვა მიესალმა: „სასიამოვნოა, რომ სტუდენტებმა ფოტოკონკურსში აქტიურად მიიღეს მონაწილეობა. ფოტოგრაფია ყველა პროფესიის ადამიანს აერთიანებს. ჩვენი ვალია, უნივერსიტეტში შევქმნათ ისეთი გარემო, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს – თავიანთი ნიჭი ყველა მიმართულებით გამოავლინონ“, – განაცხადა ნუნუ ოვსიანიკოვამ.

პროექტის „UNIადრი-2017“-ის ფარგლებში, ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც ფოტოგრაფები: გურამ წიბახაშვილი, მინდია მიდელაშვილი და ნინო ჭუთათელაძე იყვნენ, სამი საუკეთესო ფოტოს ავტორები შეარჩიეს.

„დიდი ხნის წინ, სტუდენტობისას, როდესაც ჭიმიკოსის პროფესიას ვეუფლებოდი, მეც თქვენსავით მოუვარული ფოტოგრაფი ვიყავი. შემდეგ აღმოვა-

ჩინე, რომ ჩემი ადგილი აქ არის და ასე დავიწყე ამ სფეროში მუშაობა. ფოტოგრაფიას უდიდესი შესაძლებლობები აქვს, ამიტომ მისასაღებელია თქვენი ასეთი შემართება და სიყვარული“, – მიმართა გურამ წიბახაშვილმა სტუდენტებს.

თავისი შთაბეჭდილება გავიზიარა კონკურსის II ადგილის პრიზის მფლობელმა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ირაკლი ბუთურიშვილმაც, რომელიც უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლის.

„ჩემი ფოტო ცოტა ნაღვლიანია, იგი ღამის ფონზე გადაღებული, სადაც ფანჯრებიდან სინათლე მოჩანს. ასეთ ღილდოს ნამდვილად არ ველოდი – ჩემთვის ეს სტაჟირება ბევრს ნიშნავს, რაც შეეხება ფოტოგრაფიას, მომავალშიც გავაგრძელებ საინტერესო კადრების ფირზე აღბეჭდვას“.

სამახსოვრო საჩუქრები მიიღო III ადგილზე გასულმა ლექსო მიქაძემაც. „ამ კონკურსის შესახებ ჯერ კიდევ წინა წელს გავიგე, მაგრამ მაშინ ვერ მოვახერხე მონაწილეობის მიღება. ძალიან სასიამოვნო განცდაა, როდესაც შენს გადაღებულ ფოტოს ასე აფასებენ. ჩემს

ფოტოზე სამხატვრო სახელოსნოა გადაღებული, სადაც სტუდენტი ხატავს. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ შემოქმედებითი პროცესიც სწავლასთან ერთად აუცილებელია. ამ სფეროში მუშაობას მომავალშიც ვაპირებ. ფეისბუქზე უკვე შევქმენი საკუთარი გვერდი, ურთიერთობა მაქვს გამოჩენილ ფოტოგრაფებთან, რომლებსაც ვუზიარებ ჩემს ნამუშევრებს. ეს კონკურსი კარგი გამოცდილება იყო ჩემთვის“, – გვითხრა ლექსო მიქაძემ.

პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორის ნინო კალანდიას ინფორმაციით, წელს კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებმა, რომელთაგან ჟიურიმ 17 საუკეთესო ფოტო შეარჩია. „უნივერსიტეტი ყველას, ვისაც უყვარს ფოტოხელოვნება და განსხვავებული ხედვა აქვს, საშუალებას აძლევს – გამოავლინოს თავისი ნიჭი და შესაძლებლობა. მადლობა მინდა გადავუხადო კონკურსის ყველა მონაწილეს, რომლებიც მთელი თვის განმავლობაში აგზავნიდნენ თავიანთ ფოტოებს. ეს ტრადიცია უნივერსიტეტში მომდევნო წლებშიც გაგრძელდება“, – განაცხადა ნინო კალანდიამ.



მიიღეთ მონაწილეობა ლექსიკონის მოხსენებლებისა და ლექსიკონის გამოყენების ერთ-ერთ ყველაზე ფართომასშტაბიან ევროპულ აკლევადში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი გიწვევთ ლექსიკონის მომხმარებლებისა და ლექსიკონის გამოყენების ერთ-ერთ ყველაზე ფართომასშტაბიან ევროპულ კვლევაში მონაწილეობისათვის. კვლევის ორგანიზატორები არიან: იხტოკ კოსევი (ლიუბლიანას უნივერსიტეტი და ტროინას ინსტიტუტი), რობერტ ლევი (ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი), კაროლინ მიულერ-შპიცერი და საშა ვოლფი (გერმანული ენის ინსტიტუტი). გამოკითხვის ერთ-ერთი ორგანიზატორია ელექტრონული ლექსიკოგრაფიის ევროპული ქსელი.

კვლევის მიზანია შეისწავლოს ენის მატარებლების დამოკიდებულება მათ მშობლიურ ენაზე შექმნილი განმარტებითი ლექსიკონებისადმი.

გამოკითხვა მიმდინარეობს 29 ქვეყანაში, მათ შორისაა: ავსტრია, ბელ-

გია, გერმანია, ფინეთი, უნგრეთი, იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, ლატვია, საბერძნეთი, პოლონეთი, შვედეთი, ფინეთი და სხვ. ევროპულ კვლევაში მონაწილეობს საქართველოც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა დიდი სიამოვნებით იტვირთა კვლევის ქართული წარმომადგენლის ფუნქციები.

გთხოვთ, შეხვიდეთ შეამავთ გზაზე <http://www.owid.de/plus/dictcult/>, შეარჩიეთ ქართული ენა და შეავსოთ ქართულ ენაზე მომზადებული კითხვარი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

ლექსიკოგრაფიული ცენტრი



მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულია

მთავარი სამცხალისტი

მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი

მანანა ჯურხაძე

შურსალისტი:

ნატო ობოლაძე

თამარ დადიანი

შურსია ბეროშვილი

ფოტოკომპიუტერისტი

ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა

ზაზა გულაშვილი

რედაქციის წევრები:

- რისმაგ გორდუზიანი,
- იაგო კაჭკაჭიშვილი,
- ეთერ ხარაიშვილი,
- ლადო პაპავა,
- მანანა შამილიშვილი,
- თემურ ნადარეშიანი,
- ლადო მინაშვილი,
- მორის შალიკაშვილი,
- ნინო ჩიხლაძე,
- გიორგი ჯაიანი,
- არსენ გვერდიაძე,
- მარიამ ცისკაძე,
- ნინო ქალაგანიძე,
- ირმა რუხაძე

მისამართი:

ილია ჭავჭავაძის გამზ. 13 (თსუ-ის მე-3 კორპუსი)

2 22 36 62

ვებგვერდი:

newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:

tsunewspaper@tsu.ge

სამყვანები:

თამარ ჩიქოვანი, იაგო ხაჭავაძიშვილი, რამაზ საყვარელიძე, გიორგი პაპალია



უყურეთ!

ყველა სიახლას - აქცენტებით, პრობლემას - განსჯით, აწყობას და წარსულს - გადაფასებით გადაცემაში „უნივერსია“ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში

